745 N 11908

საქართველო

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია-
ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 26 (1399)

7 დეკემბერი, 1994 წელი

გიორგი ჭანტურიას მკვლელობის გამო

1994 წლის 3 დეკემბერს საქართველოს, მისი დამოუკიდებლობისა და დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მტრებმა უმძიმესი დარტყმა მიაყენეს — ტერორისტული აქტის შედეგად მოკლეს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი ლიდერი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე, აღმოსავლეთ ევროპის ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის გენერალური მდივანი გიორგი ჭანტურია, მძიმედ დაჭრეს მისი მეუღლე — საქართველოს პარლამენტის წევრი, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე — ირინა სარიშვილი. სასიკვდილო ჭრილობის შედეგად გარდაიცვალა ეროვნულ-დემოკრატი მერაბ ბარამია, დაჭრილია ამავე პარტიის წევრი რევაზ ჯიჯეიშვილი.

ამ პოლიტიკური ტერორისტული აქტით საქართველოს და ქართველი ხალხის წინაშე მიზანმიმართულად ჩადენილია უდიდესი დანაშაული. გიორგი ჭანტურია იყო რა ერთ-ერთი გავლენიანი ეროვნული პარტიის ლიდერი, დაუცხრომლად და შეუდრეკლად იბრძოდა საქართველოს გარე და შინა მტრების წინააღმდეგ, დაუფარავად ამხელდა ქვეყანაში მოთარეშე მაფიურ კლანებს, ვაჟკაცურად ებრძოდა სახელმწიფო სტრუქტურებში მყოფ უცხო ქვეყნის აგენტურას.

ეს მკვლელობა ჩადენილია იმ ძალების მიერ, რომელთაც სურთ, რომ საქართველოში შეწყდეს პოლიტიკა (როგორც ქმედება და დემოკრატიული პროცედურა) ის სახელმწიფო კრიმინალური ძალები, რომლებიც ფაქტიურად მართავენ ქვეყანას ცდილობენ ფორმალურადაც მოვიდნენ ხელისუფლების სათავეში.

ამ მკვლელობაში დაინტერესებულია ის ძალა, რომელსაც არ სურს საქართველო დაუკავშირდეს დასავლეთს, დაუბრუნდეს ევროპული ისტორიის, კულტურის და პოლიტიკის ორბიტას. გიორგი ჭანტურია მიეკუთვნება იმ ქართველ პოლიტიკოსთა რიცხვს, რომელიც ენერგიულად იბრძოდა საქართველოს მოწყვეტისათვის რუსეთის გავლენის სფეროდან,

გაგრძელება მე-7 გვ.



სამძიმარი

1994 წლის 3 დეკემბერს დედაქალაქი და სრულიად საქართველო კიდევ ერთმა შემზარავმა ტრაგედიამ შეძრა.

ჩვენი ქვეყნის მტრების მიერ დაქირავებულმა ბნელმა ძალებმა სიცოცხლე მოუსწრაფეს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარეს, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელს გიორგი ჭანტურიას. მოკლულია მისი თანმხლები მერაბ ბარამია.

მძიმედ დაჭრეს გიორგი ჭანტურიას მეუღლე და თანამებრძოლი, პარლამენტის წევრი ირინა სარიშვილი, ასევე დაჭრილია პარტიის წევრი რეზო ჯიჯეიშვილი.

სახელმწიფოში კარგა ხანია მძვინვარებს ტერორი, რაც არავინ უწყის კიდევ რამდენი ერისკაცის მკვლელობით უნდა დაგვირგვინდეს.

გიორგი ჭანტურიას უდროოდ წასვლა წუთისოფლიდან მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკლისია არა მხოლოდ მისი ოჯახის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და მისი ახლობლებისათვის, არამედ დანაკლისია სრულიად საქართველოსთვის. ტყვია რომელიც გიორგი ჭანტურიას ესროლეს, ის ტყვიაა, რომელმაც სხვადასხვა დროს გამოიარა საქართველოსათვის თავდადებულთა გულები, მკვლელები კი იმ ნაძირალათა შთამომავალნი არიან, რომელნიც 30 ვერცხლად ყიდდნენ სამშობლოს.

ღრმა სამძიმარს ვუცხადებთ გიორგი ჭანტურიას ოჯახს, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიასა და ყველა მამულიშვილს ეროვნული მოძრაობის ღირსეული წარმომადგენლის გარდაცვალების გამო.

საქართველოს გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის მემორანდუმი

- რეალური ეკონომიკური ვითარება და რეფორმების განუხორციელებლობის მიზეზები
- ხელისუფლების მაკროეკონომიკურ პროცესებში დაშვებული შეცდომები. საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კრახი
- შევარდნაძე-იოსელიანის ფაქტორი და კრიმინალური ეკონომიკის ფორმირება

მე-3. 4. 5. 6 გვ.

ნოდარ გრიგალაშვილი
რამდენიმე ეპიზოდი მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის ცხოვრებიდან

მე-2 გვ.

ამას წაუკითხავს ნუ დატოვებთ!

ვახტანგ ბოჭორიშვილი:

დიფტერია და ბოტულიზმი რეალური საშიშროებაა

მე-8 გვ.

რამდენიმე ეპიზოდი მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირის ცხოვრებიდან

ნოდარ გრიგალაშვილი

შესავლის მაგიერ

„სადღაც რაღაც მოხდა. ეს ამბავი მებაღე თევდორემ მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა სამნი მოვიდნენ და უთხრეს: ახლა ეს ბაღიც შენია და ეს სახლიც".

გაოცებულო მკითხველო, ვიდრე იმას იტყოდე, რომ ამის დამწერი ჭკუაზედ აფრაკად არის, რა შუაშია მებაღე თევდორე, მისთვის ნაჩუქარი ბაღი და სახლი საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდულ კავშირთან და თბილისის განათლების სამმართველოსთანო, ერთ პატარა განმარტებას მოგაწვდი —

მებაღე თევდორე მიხეილ ჯავახიშვილის ბრწყინვალე მოთხრობის — „დამპატიჟეს" გმირი გახლავთ. ეს მოთხრობა იმითაც არის უკვდავი, რომ მასში აღწერილი ამბავი დღემდე „დღის წესრიგში" დგას...

სიუჟეტი კი, რომელზეც ჯავახიშვილმა 1928 წელს 20 გვერდიანი მოთხრობა დაწერა, ინფორმაციის სახით, ასე შეიძლება გადმოიცეს:

მებაღე მოჯამაგირეს ახალმა მთავრობამ გადასცა ბატონის ის სახლი და ბაღი, რომელსაც მოჯამაგირე უვლიდა და ამუშავებდა. ბედნიერ მებაღეს სულ მალე სანახევროდ გაუყვეს ქონება და შეუსახლეს უსაქმური, მაგრამ ახალი მთავრობის ახალგაზრდა მხარდამჭერი, მეტსახელად დამპატიჟე. კიდევ უფრო სწრაფად დამპატიჟეს, სკანცელარიო ენით თუ ვიტყვით, ბალანსიდან ბალანსზე გადაეცა მთელი სახლ-კარი და მებაღე თევდორე ცარიელ-ტარიელი ახლა უკვე ახალი მთავრობის ახალგაზრდა მხარდამჭერის მოჯამაგირედ იქცა.

ამ მცირე განმარტების შემდეგ, მივყვეთ მოვლენებს და იქ სადაც საწყალ თევდორეს ვახსენებთ, თბილისის განათლების სამმართველოც ვიგულისხმოთ, ხოლო, სადაც დამპატიჟეზე იქნება საუბარი, მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ორგანიზაციაც არ დაივიწყოთ...

რაკი მიხეილ ჯავახიშვილმა იმაზე უკვე დაწერა მოთხრობა, რის გადმოცემასაც ვაპირებ, პირველი სიტყვა ყველა ეპიზოდში უკვდავ მწერალს მივცეთ. მე მხოლოდ ძველ პერსონაჟებს ახალთ ჩავუნაცვლებ და სურათები თავისთავად დაიხატება.

ეპიზოდი №1

„სადღაც რაღაც მოხდა, ეს ამბავი მებაღე თევდორემ მხოლოდ მაშინ გაიგო, როცა სამნი მოვიდნენ და უთხრეს:

— ახლა ეს ბაღიც შენია და სახლიც...

აქ როგორ სცხოვრობ! — გაიკვირვეს მოსულებმა და თევდორე ნესტიან ოთახიდან ზემოთ აიყვანეს, თანაც უბრძანეს: „იცხოვრე და იმუშავე, რადგან ყველაფერი შენის ოფლით არის შექმნილი, მოიხმარე, შეგერგება!"

...

მთლად ასეთი დიალოგი შედგა თუ არა, დანამდვილებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს, ჩვენს სინამდვილეშიც სადღაც რაღაც მოხდა, რაღაც გადაწყდა და თბილისის განათლების სამმართველოს ხელმძღვანელობას უთხრეს: ესა და ეს სახლი (ლერმონტოვის ქ. №8) დღემდე სხვას რომ ეკუთვნოდა, დღეიდან თქვენი იყოს, იშრომეთ, გაარემონტეთ და ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროთო.

იშრომეს, იმუშავეს, გაარემონტეს, მოიხმარეს, შეირგეს!...

ძალიან სერიოზული გაზეთი დაწერდა: „თბილისის განათლების სამმართველოს შენობა გადაეცა „საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდულ კავშირს".

ძალიან ფრთხილი გაზეთი საზოგადოებას აუწყებდა: „თბილისის განათლების სამმართველოს შენობაში განთავსდა საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული ორგანიზაცია"...

ფათერაკების მაძიებელი ჟურნალისტი იტყოდა: „თბილისის განათლების სამმართველოს შენობაში შეიჭრა და დაბინავდა საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირი!"

უფრო თავზეხელაღებული კი დასძენდა: შეიჭრა, დაბინავდა და იქიდან კინწისკვრით გამოაგდო ადრინდელი ბინადარიო...

ასეთი იქნებოდა საგაზეთო ენით გადმოცემული დეპეშური სტილის ინფორმაცია.

მაგრამ ვინაიდან ჩვენს ქვეყანაში უანგაროდ თითქმის არაფრის გადაცემა-გადმოცემა არ ხდება;

ვინაიდან დიდი „ზურგის" გარეშე ახლა ყაჩაღებიც კი აღარ იჭრებიან ბინებში;

ვინაიდან გამგდები გაგდებულზე ცოტა მაინც ძლიერი უნდა იყოს;

და საზოგადოდ, ვინაიდან, ყოველი მოკლე ინფორმაციის უკან იმდენი მძაფრი სიუჟეტი ივარაუდება, ერთ დეტექტურ რომანს მაინც რომ ეყოფა, პუბლიცისტი იძულებულია ზემოთწარმოდგენილ ცნობას მეტი გულისყურით მოეკიდოს და ასეთი ეპიზოდებით წარუდგინოს იგი მკითხველს —

ეპიზოდი №2

„ისევ სადღაც რაღაც მოხდა და თევდორეს ბედუბედობის პირველი ნახევარიც ოციოდე წამში გათავდა (ოოჰ, ნეტავ ის დღე არ გასთენებოდა თევდორეს და მაკრინესა...). რადგან ბაღ-ბოსტანი სამი სულისათვის დიდი აღმოჩნდა, თევდორეს მონახევრე მოუყვანეს. სად, როგორ, ან ვინ იანგარიშა, ან რაღა ეს ბიჭი მოუყვანეს, ან რატომ თვითონ თევდორეს არ აარჩევინეს — არავინ იცოდა, ან იცოდა, მაგრამ თევდორეს არ უთხრეს. „სადღაც გადასჭრეს, მაშ, ასე ყოფილა საჭირო" — დააჯერა თავისი თავი და ახალმოსულს გადაჰხედა, როცა „იმ კაცს" რაღაც ქაღალდზე ხელი მოუწერა და მის მიმავალ ზურგს თვალი მოსწყვიტა...

— რა გქვიან ძმობილო? — ჰკითხა უცნობს.

— დამპატიჟე, არხეინად უპასუხა ახალმოსულმა.

...

ჩვენს სინამდვილეშიც, ისევ სადღაც რაღაც მოხდა, თუმცა რაღა სადღაც და რაღა რაღაც, ფილარმონიაში მოქალაქეთა კავშირი დაარსდა და განათლების სამმართველოს ბედუბედობის პირველი ნახევარიც მალე გათავდა (ოოჰ, ნეტავ ის დღე არ გასთენებოდათ სამმართველოს ხელმძღვანელებსა...). რადგან მათი შენობა „სამი სულისთვის" დიდი აღმოჩნდა, (იქ სამმართველოს გარდა განთავსებულია ბავშვთა რესპუბლიკური ფონდი და განათლების სამინისტროს ბიბკოლექტორი) სამმართველოს მონახევრე მოუყვანეს...

სადღაც გადასჭრეს, „მაშ, ასე ყოფილა საჭირო" — დააჯერა თავისი თავი სამმართველოს ყოფილმა უფროსმა და „იმ კაცს" რაღაც ქაღალდზე ხელი მოუწერა...

— რა გქვიან ძმობილო? — ჰკითხა უცნობს.

— საქართველოს მოქალაქეთა ახალგაზრდული კავშირიო — რიხიანად უპასუხა ახალმოსულმა.

— ღმერთმა ჩემი ხნისაც არ მოგყაროსო — გაიფიქრა სამმართველოს უფროსმა, სიტყვიერად კი მიუგო — სასიამოვნოა...

ეპიზოდი №3

„თევდორემ არ იცის როგორ მოხდა, რომ ვიღაც ოქროპირს, მეტ-სახელად „დამპატიჟე", მზამზარეულს მოუჯდა და წლის სარჩო გაუნახევრა...

არა, სამართალი სად არის! თევდორეს სამ სულსაც ნახევარი და ახალმოსულ მარტოხელასაც ნახევარი?!.

გაჩუმდი, თორემ სულაც არ ჩამოგართვან — ურჩიეს აქეთიქიდან და თევდორეც გაჩუმდა. „ეს ერთი წლის მოსავალი ვითომ სულაც არ მომსვლია" — იფიქრა და ბედს შეურიგდა".

...

განათლების სამმართველოს მუშაკებმა არ იციან, როგორ მოხდა, რომ ვიღაც მოქალაქეთა კავშირი, მეტ-სახელად მონკავშირი (თანამდებობებზე მონადირეთა კავშირი) მზამზარეულს მიუჯდა და შენობა გაუნახევრა.

არა, სამართალი სად არის! სამ დაწესებულებასაც ნახევარი და ახლადგამომცხვარ, ახლადმოსულ პოლიტიკურ ორგანიზაციასაც ნახევარი?!

გაჩუმდი, თორემ სულ არ ჩამოგართვან, ურჩიეს აქეთ-იქიდან და განათლების სამმართველოც გაჩუმდა. ამ სახლს პირველი სართული ვითომ სულ არ ჰქონიაო — იფიქრეს და ბედს შეურიგდნენ...

შენობის წართმევის შიშით განათლების სამმართველოს მუშაკებს მგონი ისეთი წინადადებაც კი შეუთავაზებიათ ამ ძალადმაცხონე, სპილენძადქცეული სტუმრებისათვის (თუმცა, როგორც ამბობენ, მასპინძლებს ისინი ოქროდ არც სტუმრობის პირველ დილას მოსჩვენებიათ)...

დიახ, ისეთი წინადადება შეუთავაზებიათ, რითაც მებაღე თევდორე ეპჭობოდა დამპატიჟეს...

ეპიზოდი №4

„იცი რას გეტყვი? — ეუბნება თევდორე მონახევრეს: — მოდი ეს ბაღი შუაზე გავყოთ.

— არა არ მინდა. — ისე უცებ მიახალა დამპატიჟემ, თითქო პასუხი კბილებით ეჭირაო.

— რატომ არ გინდა?

იმიტომ არ უნდა, რომ დამპატიჟე კაცია, ადამიანი! მარტო იმისთვის ხომ არ შეუამხანაგდა თევდორეს, რომ სწორედ ნახევარი მიიღოს მოსავლისა ან ცოტა ნაკლები, თუნდაც ოდნავ მეტი, არა — ადამიანი მინდა მე; ადამიანი და ამხანაგი! — ხშირად ისვრის დეკლარაციას ოქროპირი.

ცალ-ცალკე ცხოვრების დრო წავიდა. ახლა კი ამხანაგობის დრო მოვიდა: ეს კიდევ არაფერი:

— მეტსაც გეტყვი: ისეთი დროც მოვა, რომ ქალაქის ყველა მებაღეები ერთად მოვიყრით თავს, ერთად ვიმუშავებთ და მოსავალსაც თანაბრად გავიყოფთ.

— ნეტა მართლა მოვიდეს ეგ დრო — გაიფიქრა თევდორემ და გაჩუმდა".

...

ასე „კაცურად" უარყო მოქალაქეთა კავშირმაც განათლების სამმართველოს მიერ შეთავაზებული წინადადება — თქვენ თქვენთვის და ჩვენ ჩვენთვის, თქვენც კარგად, ჩვენც კარგადო.

კარგად რას ვიქნებითო, უთქვამთ, ადამიანი გვინდა ჩვენ, ადამიანი და ამხანაგი. ცალ-ცალკე ცხოვრების დრო წავიდა, ამხანაგობის დრო კი მოვიდა, მეტსაც გეტყვით, ისეთი დრო მოვა, ყველა მოქალაქე ერთად რომ მოვიყრით თავს, ერთად ვიმუშავებთ და მოსავალს ჩვენ წავიღებთო, ადრეც ასე იყო, როცა კომკავშირლები გვერქვა და გულზე ხელის დადებით გვითხარით, უფრო ბედნიერები არ იყავითო?

— ადრეც კარგები იყავით და ახლა კიდევ უკეთესი გვრიტები ხართო, უპასუხნიათ თავიანთი ბედნიერების პერსპექტივით დამდნარ მსმენელებს...

გულში კი

— თქვენ დაიწვით საცხა, სხვა შენობაშიო...

ეპიზოდი №5

საწყალ თევდორეს მოზიარე და მონახევრე რომ არ სიამოვნებდა, უფრო დიდი განსაცდელი თურმე წინ ედო. მისთვის ერთ უბედურ დღეს გამოუცხადეს, რომ აქამდე რასაც მისი სახელი ერქვა, ყველაფერი დამპატიჟეს გადაეცა იჯარით. სვეგამწარებული მებაღე. ფიქრობს: „როგორ მოხდა, რომ ეს ბაღი დამპატიჟეს მისცეს და თევდორეს კი არაფერი შეატყობინეს?... თავის სიცოცხლე აქ გასტეხა, აი, ამ მიწაში ჩაჰლვარა მთელი ძალ-ღონე, ამ ბაღ-ბოსტანს [illegible] აპირებდა [illegible] ხელახლა უნდა დაიწყოს ყველაფერი?

აბა, შენ ეს მითხარი, სამართალი სად არის?"

მართლაცდა აბა, სად უნდა წავიდეს თევდორე? ახალ ბაღს არავინ მისცემს, ყველა კრუხივით აზის და თოფით უვლის აჩემებულს".

...

იმ გაუბედურებული თევდორეს დღეში ჩააგდო არასახელმწიფო ორგანიზაციამ, მოქალაქეთა ახალგაზრდულმა კავშირმა სახელმწიფო დაწესებულება, თბილისის განათლების სამმართველო.

ჯერ განათლების სამმართველოს 1 სართული დაიკავეს, ქალაქის მერიამ შენობა მათ ბალანსიდან-ბალანსზე გადასცა და აწ უკვე „სრულუფლებიანმა პატრონებმა" მე-2 სართულზე მდგმურის უფლებით დატოვებული განათლების სამმართველო მდგმურის უფლებებშიც ვეღარ აიტანეს.

თქვენი ფეხი არ ვნახოთ აქაო, — დაუტატანეს, დაუღლუქეს კარი და გამოყარეს ქუჩაში.

სად უნდა წავიდეს სამმართველო?

ახალ ბინას არავინ მისცემს, „ყველა კრუხივით აზის და თოფით უვლის აჩემებულს"...

არა, თქვენ ეს მითხარით, სამართალი სად არის?!

ეპიზოდი №6

გაჭირვებამ და უსამართლობამ, მორიდებულ და თავმდაბალ თევდორეს ენა ამოადგმევინა, სამართლის პოვნის თავისებური გზაც დასახა: „ერთი „იმ კაცთან" მიმიყვანა როგორმე და დანარჩენი მე ვიცი — იმუქრება თევდორე", თუმცა ეჭვი იმაშიც ეპარება, რომ ის კაცი სწორედ პარაზიტ დამპატიჟეს მფარველობს, როგორც თავისიანს...

...

თბილისის განათლების სამმართველოს ახლანდელი ხელმძღვანელი წესიერი ბიოგრაფიის, განათლებული და, როცა საჭიროა, გაბედული ახალგაზრდაა, ალბათ, ისიც იმუქრება — „ერთი „იმ კაცთან" მიმიყვანა როგორმე და დანარჩენი მე ვიცი".

მან რა იცის, ვერ გეტყვით, იმას კი მოგახსენებთ, რომ მიხეილ ჯავახიშვილს „დამპატიჟეთა" პრობლემა თითქმის გადაუჭრელ დილემად აქვს წარმოდგენილი. მისი უკვდავი მოთხრობა ამ სიტყვებით მთავრდება:

„ოთხფეხს ტკიპი შეუჩნდება. ფუტკარს წიწწკალი ჩაუჯდება, ხეს ხავსი და ფითრი მოეკიდება, კლდესაც კი ფათალო ჩაექსოვება და ასე სცხოვრობენ სხვისი წვენით. ნეტა ადამიანიც ასე ხომ არ არის მოწყობილი?

— ფიქრობს თევდორე და დღემდისაც ვერ გადაუჭრია".

...

ამაზე რომ ჩვენც ვიფიქროთ, ამისთვისაც დაიწერა ეს წერილი.

P.S. და ბოლოს, თუ ადამიანი ასეა მოწყობილი, ანუ დამპატიჟეობა, პარაზიტობა ისეთივე თვისებაა, როგორც შური, ანგარება, ეგოიზმი, მაშინ მისი აღმოფხვრა ადამიანის ძალას აღემატება და კაცთა მოდგმასთან ერთად იარსებებს, როგორც არსებობს დღემდე, მაგრამ ჩვენ ის ხომ მაინც შეგვიძლია, დამპატიჟეებს მწვანე შუქი არ ავუნთოთ და ნებაყოფლობით არ წამოვისკუპოთ კისერზე?

საკითხავი, აი, ესეც არის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის მემორანდუმი

საქართველოს ხელისუფლების მმართველი ჯგუფის ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ

1. ზოგადი ხასიათის მოსაზრებები

გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას არაერთხელ განუხილავს საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, მაგრამ მხოლოდ კრიტიკით არასოდეს შემოფარგლულა. ჩვენ ხელისუფლებას ვთავაზობდით ქვეყანაში რეფორმების (არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ ფართო გაგებით) გატარებას ჩვენეულ გეგმას, რომელიც ითვალისწინებს, ერთის მხრივ, სახელმწიფო ხელისუფლების სტრუქტურის თვისობრივ შეცვლას, რის გარეშეც შეუძლებელია ძირეული რეფორმების ჩატარება, ხოლო, მეორეს მხრივ, ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევის საფუძველზე ყოველმხრივი ეკონომიკური გარდაქმნების განხორციელებას. ჩვენი მიდგომები არა თუ არ იქნა გაზიარებული საპარლამენტო უმრავლესობის, სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მიერ, არამედ არც კი განხილულა არსებითად, რათა წარმოჩენილიყო მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები. თუ რა შედეგი გამოიღო მმართველი გუნდის ეკონომიკურმა პოლიტიკამ (უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, ეკონომიკური პოლიტიკის არქონამ), ყველა ნათლად ხედავს.

ჩვენ ამჟამად არ შევუდგებით ყველა იმ მიზეზის დაწვრილებით განხილვას, რამაც გამოიწვია დღევანდელი უმძიმესი ვითარება. ამ მემორანდუმის კონკრეტული თემიდან გამომდინარე, მხოლოდ იმ საკითხებზე შევჩერდებით, რომლებიც ეხება საქართველოს ხელისუფლების ეკონომიკური კურსის ზოგიერთ მხარეს.

ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს დღეს უკვე საკამათოდ აღარ მიაჩნია, რომ საქართველოს ხელისუფლების მმართველმა გუნდმა, სახელმწიფოს მეთაურის მიერ დანიშნულმა და საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერით უზრუნველყოფილმა მთავრობამ ვერც თავისი კომპეტენციით და ვერც ზნეობრივი თვისებებით თავი ვერ გაართვა ქვეყნის მართვას. მთავრობის მიერ წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც დიდწილად განსაზღვრული იყო პირადად სახელმწიფოს მეთაურის მიერ, ხოლო ნასაზრდოები პარტიულ-სამეურნეო ტრადიციებითა და გამოცდილებით, გახდა ქვეყნის ეკონომიკური კრახის, მოსახლეობის გაღატაკებისა და კრიმინალური სამეურნეო კლანების მმართველობის ჩამოყალიბების საფუძველი.

სახელმწიფოს მეთაური პასუხისმგებელია არა მარტო მცდარი საკადრო პოლიტიკის გატარების, არამედ არასწორი ეკონომიკური კურსის განსაზღვრის გამოც.

დღემდე პასუხგაუცემელი რჩება კითხვები: რატომ შეწყდა რეფორმები აგრარულ სფეროში? რა მიზეზით მოიშალა ფინანსური სისტემა და განადგურების პირას იქნა მიყვანილი ეროვნული ფულის ნიშანი — კუპონი? რა ედო საფუძვლად უკვე ყბადაღებულ და საერთაშორისო დონეზე გახმაურებულ ე.წ. „ლიბერალურ“ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას? რატომ არ ხორციელდება არსებითი ცვლილებები სამეწარმეო სფეროში? რატომ არ არსებობს ქვეყანაში ელემენტარული დარგობრივი პოლიტიკა და არ გამოკვეთილა პრიორიტეტები? რატომ ფერხდება სამინისტროთა და საწარმოთა მართვის რეფორმა? რატომ დატოვეს ხელუხლებლად მოსახლეობის სოციალური დაცვის კომუნისტური სისტემა, რომელიც დღეს უკვე გერანაირად ვეღარ იმუშავებს, და რის გამოც დაუცველი დარჩა მოსახლეობის უდიდესი ნაწილი? და ა.შ. და ა.შ. გადაუჭრელი და სასწრაფოდ მოსაგვარებელი საკითხი უამრავია. მარტო ის რად ღირს, რომ განადგურების ზღვარზეა მისული განათლებისა და ჯანდაცვის სისტემა და თუ მას სასწრაფოდ არ ეშველა, ამის დამღუპველ შედეგებს უკვე ჩვენი მომავალი თაობა იწვნევს. ხელისუფლება კი თავისი უმოქმედობით თუ არასწორი ქმედებით კიდევ უფრო ართულებს ისედაც მძიმე მდგომარეობას.

ნებისმიერ ფასად ძალაუფლების შენარჩუნების მცდელობამ, სახელისუფლო სტრუქტურების მხრიდან მხარდაჭერისა თუ ლოიალობის მისაღწევად მრავალ დათმობასა და დარღვევაზე წასვლამ, პრივილეგიების უსაფუძვლო სისტემის შექმნამ (მხედველობაში გვაქვს, მაგალითად, ფინანსური რესურსებისა და იაფი კრედიტების მიღების ეკონომიკურად გაუმართლებელი ვოლუნტარისტული მექანიზმების შექმნა) აღორძინა „ცეკასდროინდელი“ მმართველობითი სისტემა. სწორედ მოუქნელი, ერთი ადამიანის ნებას დამორჩილებული და, ფაქტობრივად, უკონტროლო სახელისუფლო სტრუქტურა, ერთი მხრივ, სახელმწიფოს პირველი პირების მიერ დაშვებული შეცდომები, მეორე მხრივ, სახელმწიფო ინტერესების საზიანო კლანური პოლიტიკის ხელშეწყობა, მესამე მხრივ, და უცოდინარობა არის ეკონომიკური რეფორმების დამუხრუჭების ძირითადი მიზეზი. და ეს მიზეზი სუბიექტურია და არა ობიექტური.

რეფორმებს ხელს უშლის ხელისუფლებაში დამკვიდრებული პოპულიზმიც, შიში ხალხის რეაქციისა არაპოპულარულ, მაგრამ სასიცოცხლოდ აუცილებელ ღონისძიებებზე, რაც იწვევს ხალხის განწყობილების სამართავად გამიზნულ დემაგოგიური ხასიათის ქმედებებს. ეს კი არა მარტო აფერხებს რეფორმებს, არამედ ხელს უშლის საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი ქვეყნების მიერ იმ დახმარების გამოყოფას, რომელიც განკუთვნილია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისათვის და რომელიც ჩვენს გარდა თითქმის ყველა ქვეყანამ მიიღო (აქ არ იგულისხმება ჰუმანიტარული დახმარება). აღარაფერს ვამბობთ უცხოურ ინვესტიციებზე, რომელთა შემოსვლა მხოლოდ ხელსაყრელი ეკონომიკური გარემოს შექმნას ელოდება. ამაში იგულისხმება კანონის უზენაესობაც და ნორმალური კრიმინოგენული მდგომარეობაც).

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სულ უკანასკნელ ხანს, თუმცა დიდი დაგვიანებით, გადაიდგა რამდენიმე არაპოპულარული, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯი (მხედველობაში გვაქვს ფასების საკითხი, თუმცა მიგვაჩნია, რომ სწორი იქნებოდა არა ფასების მომატება, არამედ მათი გათავისუფლება). ოღონდ საყურადღებოა, რომ სახელმწიფოს მეთაურს ორ წელიწადზე მეტი დასჭირდა, რათა ეღიარებინა და ანგარიში გაეწია საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მოთხოვნებისადმი, რომელთა უგულებელყოფამ დღემდე დაგვტოვა მათი ქმედითი დახმარების გარეშე. ამ ორგანიზაციათა ზემოქმედებითა და შექმნილი უმძიმესი მდგომარეობით ნაკარნახევი ამჟამად გადადგმული სანახევრო და მოუმზადებელი ნაბიჯები კვლავ ბადებს ეჭვს, რომ ხელისუფლებას ან ბოლომდე არა აქვს გაცნობიერებული შექმნილი მდგომარეობა, ან კვლავ საკუთარ „რეიტინგზე“ უფრო ზრუნავს, ვიდრე ნამდვილი და არა მოჩვენებითი რეფორმის ჩატარებაზე.

სახელმწიფოს მეთაური რომ არ ითვალისწინებდა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციათა რეკომენდაციებს და დიდი სახელმწიფოების ხელმძღვანელთა მოთხოვნებს რეფორმების დასაწყებად, ამაზე ბევრი ფაქტი მეტყველებს. მაგალითად:

ა) ცნობილია, რომ მინისტრთა კაბინეტმა 1993 წლის 24 თებერვალს დაამტკიცა „მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა“, რომელიც მოიწონეს საერთაშორისო სავალუტო ფონდმა და მსოფლიო ბანკმა. მას მაღალი შეფასება მისცეს სხვებმაც.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის დასკვნაში ამ პროგრამის თაობაზე ვკითხულობთ: **„საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისიამ უურადღებით შეისწავლა საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილის ბატონ რ. გოცირიძისა და მისი კოლეგების მიერ მომზადებული „საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამის“ პროექტი, და მიაჩნია, რომ ამ დოკუმენტის მომზადება, რომელიც შეიცავს საქართველოს მთავარი ეკონომიკური პრობლემების ღრმა და ყოვლისმომცველ ანალიზს, მნიშვნელოვანი პირველი წინგადადგმული ნაბიჯია რეფორმების გზაზე. ასეთ პროგრამას შეუძლია, ფინანსური სტაბილურობის პირობებში ხელი შეუწყოს საბაზრო ეკონომიკაზე ჰარმონიულ გადასვლას და ახალ ეკონომიკურ წინსვლას“.**

ამ პროგრამის განხორციელება ვერ მოხერხდა სახელმწიფოს მეთაურისა და იმჟამინდელი მთავრობის ანტირეფორმისტული უმრავლესობის მიერ გაწეული წინააღმდეგობის გამო. მისი სრული ძალით ამოქმედების შემთხვევაში კი საქართველო მიიღებდა მნიშვნელოვან ფინანსურ დახმარებას.

სწორედ ამ პერიოდში ეროვნული ბანკის მიერ, რომლის პრეზიდენტიც სახელმწიფოს მეთაურის სრული ნდობით სარგებლობდა, განხორციელებული იქნა ე.წ. „ლიბერალური ფულად-საკრედიტო პოლიტიკა“, რომელსაც აქტიურად უჭერდა მხარს სახელმწიფოს მეთაური და რომელმაც მოშალა ქვეყნის ფინანსური სისტემა, ბოლო მოუღო ეროვნული ვალუტის ფუნქციონირებას ქვეყანაში, დაამკვიდრა უკანონობა და ავანტურიზმი საბანკო სფეროში, რამაც გამოიწვია საქართველოს ხელისუფლებისადმი უნდობლობა. ეს იყო ერთი უმთავრესი მიზეზთაგანი, რის გამოც სახელმწიფომ ვერ მოახერხა თუნდაც უმნიშვნელო ოდენობით კომერციული (და არა ჰუმანიტარული) ფინანსური დახმარების მიღება, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს მეთაურის, მთავრობისა თუ ეროვნული ბანკის მიერ გაცემულ იქნა მილიარდობით დოლარის ეკვივალენტური საგარანტიო ფასიანი ქაღალდები (მათ შორის უცხოელ თუ ადგილობრივ ავანტურისტებზე).

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამჟამინდელი მინისტრთა კაბინეტის ეკონომიკური პროგრამა არის ზემოთაღნიშნული პროგრამის მცირეოდენ სახეშეცვლილი (გაუარესებული) ვარიანტი, რომელსაც უკვე მხარს უჭერს ბ-ნი ე. შევარდნაძე. არა და მაშინ, როცა სახელმწიფოს მეთაური ამუხრუჭებდა რეფორმებს, პარლამენტის სხდომაზე აცხადებდა, რომ ეს პროგრამა უვარგისია, რადგან ძალზე დიდია და დაწერილია „კათედრებისათვის“, რომ საჭიროა მცირე მოცულობის ისეთი დოკუმენტის მიღება, რომელიც ერთნაირად იქნება გასაგები როგორც მუშისა და გლეხის, ასევე პროფესორისთვისაც.

ბ) რეფორმების განუხორციელებლობა შეუმჩნეველი არ დარჩენილა, აქედან გამომდინარე შედეგებითურთ. ამას ადასტურებს აშშ-ის პრეზიდენტის ბილ კლინტონის გასული წლის ივლისისა და დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ჯონ მეიჯორის აგვისტოს წერილები ბ-ნ ე. შევარდნაძისადმი.

აშშ-ის პრეზიდენტი წერდა: **„გულწრფელად რომ გითხრათ, ძნელი იქნება დავაკმაყოფილო თქვენი თხოვნა საქართველოსთვის არსებითი მაკროეკონომიკური დახმარების თაობაზე, თუ თქვენ არ დაიწყებთ ფუნდამენტურ რეფორმებს“.**

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი: „საერთაშორისო სავალუტო ფონდთან შეთანხმებული გარდაქმნის სისტემატური მხარდაჭერის პროგრამა, როგორც პირველი საფეხური, არის გასაღები შემდგომი ფინანსური დახმარებისა, რომელიც თქვენ ასე გჭირდებათ. მე ვიცი, რომ მჭიდრო კონტაქტში ხართ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან. გისურვებთ წარმატებებს ამ მნიშვნელოვან მოლაპარაკებებში“.

სამწუხაროდ, რეფორმების გაყინვის, სამანეთო ზონაში დაბრუნების გულუბრყვილო მცდელობის (რომლის ინიციატორიც პირადად სახელმწიფოს მეთაური გახლდათ), ეროვნული ფულის კატასტროფულად გაუფასურების გამო საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებმა თითქმის შთელი წლით შეწყვიტეს საქართველოსთან კონტაქტები და გაურკვეველი ვადით გადაიდო დახმარების საკითხიც.

ბოლო დროს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფოს მეთაური როგორც იქნა დათანხმდა რეფორმების მოსამზადებელი (და არა რეფორმების, როგორც ამას იუწყებიან ხელისუფლების პროპაგანდისტული საშუალებები) პირველადი ნაბიჯების გადადგმას. ამ მოსამზადებელ სამუშაოთა შესრულების შემთხვევაში, რომლებიც აგვისტო-ოქტომბერში უნდა დამთავრებულიყო, საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ ნოემბრის თვეში დაგეგმილი იყო საქართველოსთვის ფინანსური დახმარების საკითხის გადაწყვეტა. სამწუხაროდ, ხელისუფლებამ თავი ვერ მოაბა აუცილებლად მოსაწესრიგებელ ღონისძიებებს. ხმაურით გამოცხადდა რეფორმის დაწყება, რეალურად კი მოხდა მხოლოდ ფასების მომატება (და არა მათი გათავისუფლება) პურსა და მომსახურების ზოგიერთ სახეზე. ბუნებრივია, დახმარების საკითხის განხილვა კვლავ გადაიდო, ვინაიდან ის, რაც გაკეთდა, ვერანაირად ვერ ჩაითვლება რეფორმად.

განსაკუთრებით საგანგაშოა ის გარემოება, რომ ხელისუფლებამ ვერ შეიმუშავა მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნობრივი, შერჩევითი მექანიზმი. ისედაც მცირე დახმარება იმდენად ნაწილდება, რომ მხოლოდ სიმბოლური ხდება.

ხელისუფლების ქმედება ეკონომიკის სფეროში მუდმივად დაგვიანებული და არადროულია. სრულიად ცხადია, რომ ჩვენში არსებული ენერგეტიკული კრიზისის

გაგრძელება მე-4 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული რესპუბლიკური

მესამე გვერდიდან

პირობებში რადიკალური ქმედებების დაწყება უმჯობესია ზაფხულში, ვიდრე უშუქოდ და გათბობის გარეშე დარჩენილ მშიერ დეკემბერში. არა და, სავალუტო ფონდის რეკომენდაციით სწორედ ზაფხულში უნდა დაწყებულიყო და ოქტომბერში დამთავრებულიყო მათ მიერ დასახული და ჩვენს მთავრობასთან შეთანხმებული ღონისძიებები. როგორც უკვე არაერთხელ, ხელისუფლება კვლავ იმ ჭრიჭინას როლში აღმოჩნდა, რომელმაც „უშრომელ-უზრუნველობით მთელი ზაფხული ატარა“, ზამთარი კი გასაცოდავებულს უცებ მოადგა კარს.

ხელისუფლებამ მთლიანად უნდა აგოს პასუხი იმაზე, რომ ვერ მოგვისწრო საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის კრედიტებმა, რომელთაგან პირველი ნოემბერში, ხოლო მეორე დეკემბერში უნდა გამოყოფილიყო, თუ ზუსტად შეკასრულებდით მათ რეკომენდაციებს. ზამთრის გადატანა კი, როგორც ვხედავთ, კვლავ ჩვენი ხალხის საოცარ ამტანობასა და მოთმინებაზე გახდა დამოკიდებული.

გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიის ამ მიმდინარეობის მიზანია მოახდინოს საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის, ხელისუფლების მმართველი გუნდების ეკონომიკური პოლიტიკის პირუთვნელი, ობიექტური ანალიზი. თუ არ იქნა დასმული სწორი დიაგნოზი, შეუძლებელი იქნება შედეგიანი მკურნალობაც.

საჭიროა შევაფასოთ, რა სახის კრიზისია ქვეყანაში, რათა შემდეგ უფრო ნათელი გახდეს, როგორ დავძლიოთ იგი.

ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი მრავალმხრივი მიზეზების გამოვლენა, რომელიც არის აღნიშნული დოკუმენტის ძირითადი ამოცანა, ამ მემორანდუმს მხოლოდ დიაგნოზის დასმის, სწორი სურათის დახატვის პრეტენზიას აძლევს, ამის გაკეთება იმდენადაა აუცილებელი, რამდენადაც ხელისუფლება ერთის მხრივ, ყოველნაირად ცდილობს მდგომარეობის შელამაზებას, მის არასწორად ახსნას, მეორეს მხრივ, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ხელისუფლების წამყვანი პირები შეგნებულად გაურბიან საკუთარი შეცდომებისა და ამ შეცდომებით გამოწვეული მრავალი უბედურების ობიექტურ შეფასებას და განცობიერებას, რადგან ეშინიათ, რომ რეალისტურად დახატული პორტრეტი მათ საკუთარი უსუსური პოლიტიკით გამოწვეულ საზარელ სურათს დაუყენებს თვალწინ, იმის მსგავსს, რასაც ოსკარ უაილდი თავის რომანში „დორიან გრეის პორტრეტი“ აღწერს.

რაც შეეხება ეკონომიკური სხეულის გაჯანსაღების, მისი მკურნალობის გზებს, გაერთიანებულ რესპუბლიკურ პარტიას აქვს ამის თაობაზე საკუთარი პოზიტიური გეგმა. არსებობს შესაბამისი პროგრამებიც. ამჟამად მიმდინარეობს ინტენსიური მუშაობა როგორც ზოგადეკონომიკური სტრატეგიის ფორმირების, ასევე ცალკეული სფეროების გარდაქმნის პროგრამებზე. პარალელურად გრძელდება კანონშემოქმედებითი საქმიანობა. ჩვენს მიერ დამუშავებული კანონპროექტების ნაწილი გახდება ახლანდელი, ხოლო ნაწილი, მომავალი პარლამენტის განხილვის საგანი. ეს და სხვა სხვა საკითხები ეტაპობრივად იქნება გამოტანილი საზოგადოების სამსჯავროზე.

2. რეალური ეკონომიკური ვითარება და რეფორმების განუხორციელებლობის მიზეზები

ამჟამინდელი ეკონომიკური მდგომარეობა ცალსახად შეიძლება შეფასდეს როგორც საგანგაშო. მოსახლეობის ცხოვრების დონე მნიშვნელოვნად დაეცა, ხოლო წარმოების მოცულობის დღევანდელი მაჩვენებელი 1963 წლის დონეს გაუთანაბრდა. კრიზისმა მოიცა მეურნეობის ყველა დარგი და მთელი სოციალური სფერო. მრავალი ფაქტორის ზემოქმედების შედეგად ეკონომიკა თითქმის მოშლილია.

მიუხედავად ოფიციალური პროპაგანდისტული საშუალებებისა და ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მიერ მდგომარეობის შელამაზების მცდელობისა და ვითარების არაადეკვატურად წარმოჩინებისა, რაც ხშირ შემთხვევაში აშკარა დემაგოგიური ფორმითაა გამოხატული, საერთაშორისო საფინანსო და საკრედიტო ორგანიზაციების ზეწოლისა და მათ მიერ ადგილზე გაწეული მუშაობის შემდეგ, ზოგიერთ ოფიციალურ დოკუმენტში გამოჩნდა ეკონომიკური ვითარების შედარებით რეალურად ასახვის ნიშნები. საქართველოს ამჟამინდელი მთავრობის მიერ ახლახან პარლამენტში განსახილველად წარდგენილ „საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ანტიკრიზისულ პროგრამაში“ ვკითხულობთ: **„კატასტროფულად ეცემა წარმოება; უმართავი ხდება ფინანსური რესურსების მოძრაობა; განუწყვეტლივ და სწრაფად იზრდება დაუსაქონლებელი ფულის მასა; მწვავდება ბიუჯეტის დეფიციტი; თანდათანობით იკლებს საბიუჯეტო შემოსავლების რეალური მოცულობა; დღითიდღე ლატავდება სამომხმარებლო ბაზარი; განუხრელად იზრდება ფასები; ძლიერდება ინფლაციური პროცესები; მოიშალა სამეურნეო კავშირები; მინიმუმამდე შემცირდა პრაქტიკულად შეწყვეტის პირსაა საინვესტიციო საქმიანობა; მატერიალური და ენერგორესურსების უკიდურესი უკმარისობის გამო საწარმოთა დიდი ნაწილი განერებულია; იზრდება უმუშევართა რიცხვი და სწრაფი ტემპით ეცემა მოსახლეობის ცხოვრების დონე“.**

მიუხედავად იმისა, რომ შედეგის უარყოფა ხელისუფლებას უკვე არ შეუძლია, იგი ცდილობს გამომწვევი მიზეზების გაყალბებას, საკუთარი წვლილის შერბილებასა და მიჩქმალვას, რითაც სურს მის მიერ დაშვებული შეცდომებით, არაკომპეტენტურობითა და უმოქმედობით წარმოქმნილი სირთულეები სხვას გადააბრალოს ან გარდუვალი, ობიექტური აუცილებლობით ახსნას.

თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ბოლოდროინდელ ზოგ დოკუმენტში შეინიშნა ნამდვილი მიზეზების დასახელებაც. კვლავ მოგვყავს ციტატა მთავრობის პროგრამიდან: **„ბოლო დროს ხელისუფლების მიერ ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად გატარებულმა ღონისძიებებმა სათანადო შედეგები ვერ გამოიღო... ზოგჯერ ადგილი აქვს ურთიერთგამომრიცხველი შინაარსის გადაწყვეტილებათა მიღებას. ვერ ხერხდება ერთიანი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, არ სრულდება კრიზისის დაძლევისა და სტაბილიზაციის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებანი. ეს ძირითადად განპირობებულია იმით, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა არ შეესაბამება საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების აუცილებელ მოთხოვნებს... შედეგი სახეზეა. წარმოების ტემპი ეცემა, საფინანსო სისტემა მოიშალა, ეროვნული ბანკის კუპონი პრაქტიკულად გამოიდევნა მიმოქცევის სფეროდან და შეუძლებელი ხდება დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გატარება“.**

როგორც ვხედავთ, უკვე თვით ხელისუფლება იძულებულია აღიაროს ის, რასაც ჩვენ აგერ უკვე თითქმის ორი წელიწადია ვთავაზობდით სწორედ ხელისუფლების (მათ შორის აღმასრულებელი) სტრუქტურული რეორგანიზაციის ჩვენეულ გეგმას და ვურჩევდით ასეთი გარდაქმნები დადებოდა საფუძვლად რეფორმის პირველ ნაბიჯებს. სამწუხაროდ, ჩვენი მცდელობა ამ და სხვა მიმართულებითაც არაერთხელ იქნა უარყოფილი საპარლამენტო უმრავლესობისა და პირადად სახელმწიფოს მეთაურის მიერ.

როგორც რეალური ვითარება გვიჩვენებს, ხელისუფლების ამჟამინდელმა მმართველმა გუნდმა ვერ გაართვა თავი ამ გარდამავალ ეტაპზე სამი აუცილებელი ამოცანის გადაჭრას: ჯერ ერთი, ვერ იქნა შეჩერებული წარმოების კატასტროფული დაცემა, მეორეც, ვერ პოვა სწორი გაგრძელება საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების დაწყებულმა პროცესმა და მესამეც — ვერც მეურნეობის სტრუქტურულ მოდერნიზაციას ჩაეყარა საფუძველი.

მიუხედავად მრავალი რეფორმატორული ქმედებების დაგვიანებით დაწყებისა და დაშვებული შეცდომებისა, დღევანდელ მთავრობას მაინც ერგო მემკვიდრეობით ზოგიერთი პოზიციური მოვლენა: დასასრულს უახლოვდებოდა ეკონომიკური რეფორმის განხორციელების წინა მოსამზადებელი სამუშაოები, ჩამოყალიბდა მისი უზრუნველყოფის ადმინისტრაციული და სამართლებრივი მექანიზმები, საერთო არასტაბილურობის, სამეურნეო კავშირებისა და ანგარიშსწორების სისტემის რღვევის მიუხედავად, დაიწყო ისეთი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების სისტემის განხორციელება, როგორიცაა მიწისა და შინების პრივატიზაცია, ფასების ლიბერალიზაცია, თავისუფალი ვაჭრობის შემოღება, გადაიდგა პირველი ნაბიჯები სამეურნეო კომპლექსის მართვის დეცენტრალიზაციის მიმართულებით. საერთაშორისო ორგანიზაციების ხელშეწყობით და მათი უშუალო მონაწილეობით შეიქმნა მრავალი ნორმატიული და ანალიტიკური ხასიათის დოკუმენტები, რომლებიც სწორ კალაპოტში უბიძგებდნენ რეფორმის მიმართულებას.

ურთულესი, მაგრამ ისტორიული მოვლენა იყო ეროვნული ვალუტის შექმნა და ავტონომიური ფულად-საკრედიტო და საფინანსო მექანიზმების ფორმირება. ამჟამინდელ მთავრობას უკვე დახვდა მეტნაკლებად ფუნქციონირებადი ფულის ერთეული — კუპონი, რომელიც 1993 წლის აგვისტოსათვის უკვე მიმოიქცეოდა როგორც ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. მისი საბაზრო კურსი იმ დროისათვის შეადგენდა დაახლოებით 1:6000 კუპონს დოლართან მიმართებაში. მიუხედავად იმისა, რომ კუპონის შემოღების წინაპერიოდში და მისი ფუნქციონირების პირველ თვეებში განსაკუთრებით იჩინა თავი ვოლუნტარიზმმა ფულად-საკრედიტო სფეროში ყველასათვის კარგად ცნობილი საბანკო პოლიტიკის გამო, მრავალი ადამიანის, ზოგიერთი საპარლამენტო ფრაქციისა (აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მხარდაჭერის წყალობითაც) თავიდან აცილებული იქნა კუპონის კურსის მნიშვნელოვანი დაცემა. 1993 წლის სექტემბრის თვიდან, ამჟამინდელი მთავრობის არაგონივრული საფინანსო პოლიტიკის, ეროვნული ბანკის წაყრუების, სახელმწიფოს მეთაურის კანონსაწინააღმდეგო განკარგულებებისა და საპარლამენტო უმრავლესობის მხრიდან მხარდაჭერის შედეგად უპრეცედენტო საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსებისა და მთავრობის სხვა საჭიროებისათვის დაშვებულმა საკრედიტო ექსპანსიამ გამოიწვია კატასტროფული ჰიპერინფლაცია. კუპონის საბაზრო კურსმა ახალი მთავრობის ჩამოყალიბებიდან ერთი წლის თავზე შეადგინა დაახლოებით 1:4 000000, დოლართან მიმართებაში, რაც მეტად იშვიათია მსოფლიო საფინანსო პრაქტიკაში. ამ და სხვა სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ეროვნული ვალუტა ფაქტიურად განდევნილი იქნა ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრებიდან და საფინანსო სარბიელი ძირითადად რუსულ მანეთს დაეთმო.

გარდა სრული კრახისა ფინანსურ სფეროში, ხელისუფლების მიერ წარმოებული ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი დიდი შეცდომა იმაშიც მდგომარეობს, რომ არ იქნა გამოკვეთილი დარგობრივი პრიორიტეტები, დაშვებული იქნა წარმოების მოცულობის შემცირება ყველა სფეროში და ვერ განისაზღვრა, რომელ დარგში იყო შესაძლებელი წარმოების დაცემის თავიდან აცილება (რომელში — არა) და რომელი დარგის ხარჯზე უნდა მომხდარიყო წინასწარ განსაზღვრული წარმოების დონის შენარჩუნება.

რეფორმების შეჩერებამ განსაკუთრებით მძიმედ იმოქმედა აგრარულ სფეროზე. ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების თანახმად საქართველოში ჯერ კიდევ შენარჩუნებულია 450-ზე მეტი საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა, რომელთა უმრავლესობაში მოშლილია მარცვა, ნიადაგდება ქონება და ფაქტიურად ყველა მეურნეობა ფინანსურად გაკოტრებულია.

მიუხედავად უმძიმესი სანედლეულო და ენერგეტიკული კრიზისისა, წარმოების ტემპის დაცემა და მრავალი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა გამოწვეული იყო არა მარტო რესურსული, არამედ ფინანსური ხასიათის სიძნელეების, პირველ რიგში, ეროვნული ვალუტის მიმოქცევიდან განდევნის შედეგად. დაფინანსების უქონლობის გამო საერთოდ გაჩერებულია უმნიშვნელოვანესი სამეურნეო და მომსახურების სფეროს მრავალი ობიექტის მუშაობა, თითქმის მთლიანად შეწყდა ახალი ობიექტების მშენებლობის, ან უკვე არსებულის მოდერნიზაციის პროცესი. მათი დიდი ნაწილი დაკონსერვების გარეშეა მიტოვებული და ღია ცის ქვეშ ნადგურდება. ახალ სესაკუთრეებზე მათი გადაცემა კი ვერ ხერხდება პრივატიზაციის უკიდურესი ხელოვნურობისა და ამ პროცესში ურთიერთგამომრიცხავი ღონისძიებების შედეგად.

ასევე უმძიმეს მდგომარეობაშია ტრანსპორტის ყველა დარგი. მოშლილია კავშირგაბმულობა.

ფინანსური ხასიათის სიძნელეების და არასწორი საბიუჯეტო პოლიტიკის გამო ვერ ხერხდება სოციალურ-კულტურული სფეროს (განათლება, ჯანდაცვა, მეცნიერება, კულტურა, სპორტი და სხვა) ორგანიზაციების მატერიალური ბაზის შენახვა-შენარჩუნება, კადრების მინიმალური სასიცოცხლოდ აუცილებელი შემოსავლებით უზრუნველყოფა.

იზრდება სახელმწიფოს საგარეო ვალიც, რომლის ოდენობაც მიმდინარე წლის ბოლოსათვის 1 მილიარდ დოლარს მიაღწევს. უცხოეთის როგორც საკრედიტო, ასევე უზარმაზარი ჰუმანიტარული დახმარება ვერ იქნა რაციონალურად გამოყენებული, უფრო მეტიც, მისი ნაწილი განიავებული და გაფლანგული იქნა.

ასეთ პირობებში ხელისუფლების მთავარი და გადაუდებელი ამოცანა უნდა გახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის მეამორანდუმი

დეს ეკონომიკის სრული პარალიზების თავიდან აცილება, ინფლაციის შეჩერება, უკვე კარსმომდგარი უმძიმესი ზამთრის პერიოდში მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება (შუქით, წყლით, გათბობის საშუალებებით მინიმალურ დონეზე მაინც უზრუნველყოფა), შეჩერებული ეკონომიკური რეფორმების გახახლება.

ხელისუფლების ეკონომიკური კურსის გამოსწორება შეუძლებელია იმ სუბიექტური ფაქტორების მოხსნის გარეშე, რომელმაც გამოიწვია რეფორმის შეფერხება. ასეთ სუბიექტურ მიზეზებად მიგვაჩნია: საერთაშორისო გამოცდილებით დადასტურებული, აპრობირებული მოთხოვნების უგულებელყოფა, უმოქმედობა, პოპულიზმი, კონფრონტაცია პოლიტიკურ ოპოზიციასთან, კერძო და კლანური ინტერესების სახელმწიფო ინტერესებზე წინ დაყენება, კადრების არაკომპეტენტურობა და მათი წაწილის (მათ შორის ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების) კორუმპირებულობა.

ობიექტურობა მოითხოვს იმის აღნიშვნას, რომ ეკონომიკური კრიზისის გამაღრმავებელ ფაქტორებს მიეკუთვნება გარე ძალების ზემოქმედება, არსებული ეკონომიკური სისტემის მსხვრევა და ტრანსფორმაციით გამოწვეული ობიექტური მიზეზები, საომარი მოქმედებები და ტერიტორიების დროებითი დაკარგვა, ლტოლვილთა დიდი რაოდენობა და ა.შ. თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ უარყოფითი ფაქტორები მაშინ ავლენენ მთელი სისრულით თავიანთ დამანგრეველ ძალას, როცა ვერ ხერხდება მათი ნაწილობრივი ან სრული განეიტრალება. გარეშე და სხვა ობიექტური ფაქტორების ნეგატიური ზემოქმედების აცილება ან მისი შერბილება მხოლოდ ჯანსაღ და მაღალპროფესიულ მმართველობას თუ ხელეწიფება.

ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ვერ გააკეთა სწორი პროგნოზი, ზუსტად ვერ გათვალა გარეშე ფაქტორების ზემოქმედების მიმართულებები და ძალა, რითაც დაუცველი დასტოვა ქვეყანა ბრმა სტიქიის წინაშე.

ეკონომიკაში წარმოქმნილი სირთულეების ერთ-ერთი მიზეზი იმაში მდგომარეობს, რომ ქვეყანაში არ გადადგმულა რაიმე შესამჩნევი ნაბიჯი სასამართლო რეფორმის მოსამზადებლად. სამეურნეო სუბიექტებს უწევთ თავიანთი საქმიანობა საკანონმდებლო ქაოსის ვითარებაში. ფაქტიურად პარალიზებულია საარბიტრაჟო სასამართლოს საქმიანობა. ქვეყანაში არ არსებობს სახელმწიფო ორგანო, სადაც მეწარმე თუ კერძო მესაკუთრე დაიცავს თავის კანონიერ უფლებებს. ასეთ ვითარებაში მეწარმეები იძულებულნი არიან გამონახონ თავიანთი ქონებრივი უფლებების დაცვისა თუ სამეურნეო დავათა გადაწყვეტის არაკანონიერი გზები, მიმართონ უკანონო თუ კანონიერი შეიარაღებული ფორმირებებისა თუ შავი სამყაროს ავტორიტეტებს, რაც იწვევს სამეურნეო ცხოვრებაში დანაშაულებრივი პროცესების გაღრმავებას.

რეფორმების შეჩერების ორგანიზაციული ხასიათის მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოებაც, რომ არ არსებობს მისი გამტარებელი სახელმწიფო სტრუქტურა. მთავრობისა და სახელმწიფოს მეთაურისა და მისი აპარატის ფუნქციის გაუმჯნაობა, მათ მიერ ხშირ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი ეკონომიკური დადგენილებების მიღება (როგორც წესი, მოსახლეობის თვალში არაპოპულარულს პრემიერ-მინისტრი აწერს ხელს, პოპულარულს კი სახელმწიფოს მეთაური) იწვევს არაარაციონალურ ქმედებებს, ამ აქტების უგულებელყოფას და შეუსრულებლობას.

ხელისუფლებაში არ არის თანხმობა რეფორმის სტრატეგიული კურსის საკითხებში. რეფორმა ყველას ესმის თავისებურად. კომპეტენციის დაბალ დონესთან ერთად სუსტია წამყვანი პასუხისმგებელი პირების ინდივიდუალური ნება და ძალისხმევა. ეკონომიკურ შეხედულებათა და პრაქტიკულ გარემოებათა ეკლექტურობა ვერ იქნა დაძლეული ვერც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის საქმიანობისა და მათი მხრიდან აქტიური შეგულიანებისა თუ ზეწოლის შედეგადაც. ბევრი მათი რეკომენდაცია შეგნებულადაა ბლოკირებული.

ეკონომიკური რეფორმების განხორციელებას ხელს უშლის სახელმწიფო მმართველობითი და სამეურნეო ბიუროკრატიის ნაწილის კორუმპირებულობა. მათი ინტერესები მჭიდროდაა გადაჯაჭვული ხელისუფლების წამყვანი პირების ინტერესებთან. უმაღლესი ხელისუფალნი ამ კატეგორიის ხალხიდან ელიან მხარდაჭერას ძალაუფლების შენარჩუნებაში, თავის მხრივ, ეს უკანასკნელნი თავისუფალი და დაუსჯელი მოქმედების გარანტიას ღებულობენ გავლენიანი პირებისაგან.

დაუსჯელობა იქცა სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნორმად.

3. ხელისუფლების მაკროეკონომიკურ პოლიტიკაში დაშვებული შეცდომები.

საფინანსო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის კრახი

ხელისუფლებას არ ჰქონდა ეკონომიკური მოქმედების პროგრამა და პროცესები თვითდინებაზე იქნა მიშვებული.

— ვერ შეიქმნა ეფექტიანი ფინანსური და ფულად-საკრედიტო სისტემა, ვერ მოხერხდა ფულის მიმოქცევის სტაბილიზაცია, ინფლაციის რეგულირება და მისი შემცირება, რითაც ჩაკვდა საქმიანი აქტივობის სტიმულები.

— არ გადადგმულა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯებიც კი ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების მიმართულებით.

— მიუხედავად იმისა, რომ ფასების ლიბერალიზაციის პროცესი ორი წლის წინათ იქნა ძირითადად განხორციელებული და მოხსნილი იყო ადმინისტრაციული შეზღუდვები ამ სფეროში, ხელისუფლებამ ვერ შეძლო წინამორბედთა მიერ წამოწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა და გაენთავისუფლებინა ფასები დარჩენილ, სულ რამდენიმე დასახელების საქონელზე და მომსახურებაზე.

უკანასკნელ პერიოდში, მან შემდეგ, რაც ხელისუფლება იძულებული გახდა გადაედგა ამ მიმართულებით ნაბიჯები, წამოიწყო სანახევრო ქმედებები, რის შემდეგაც პროცესები შუა გზაზე იქნა მიტოვებული, რითაც კიდევ ერთხელ მიაყენა მტკივნეული დარტყმა ისედაც მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილ მოსახლეობას.

შეჩერებულ იქნა პრივატიზაციის პროცესი. ის უმნიშვნელო და დუნე ძვრები, რაც უკანასკნელ თვეებში შეიმჩნევა, ვერც თავისი ტემპით და ვერც განხორციელების ფორმით ვერ იქნება შედეგიანი. პრივატიზაციის პროცესში შეტანილი კორექტივები არის არაეფექტიანი, იწვევს მოქალაქეთა დიდი ნაწილის გაუცხოებას სახელმწიფო ქონებისაგან და წარმოშობს საწარმოთა მართვის კლანურ ტიპს. საბოლოო ჯამში როგორც საწარმოთა, ასევე სახელმწიფო-კომერციული ბანკების მიმდინარე აქციონირების წესი სპობს ეკონომიკურ სტიმულებს, იწვევს არაეფექტიანი და არარაციონალური სამეურნეო სტრუქტურების შექმნას და საბოლოო ჯამში პრივატიზებული ქონების განიავებასა და სამეურნეო ერთეულების არსებობის შეწყვეტას (გაკოტრებას).

— მთლიანად მოიშალა ძველი, ხოლო არ გადადგმულა არავითარი ნაბიჯები სოციალური დაცვის ახალი სისტემის ფორმირების მიმართულებით. სოციალურად დაუცველი დარჩა არა მარტო ადამიანთა ის კატეგორია, რომელთა დაცვა სახელმწიფოს პირდაპირი მოვალეობა, არამედ მოსახლეობის უდიდესი (პირველ რიგში, საბიუჯეტო ორგანიზაციებში დასაქმებული) ნაწილი. არ შეიმჩნევა რაიმე მოქმედება ისეთი სოციალური დაცვის მექანიზმების შესაქმნელად, რომელიც მოახდენდა მოსახლეობის ახალ პირობებთან შეგუებას და ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა მძიმე ტვირთს.

თავისი ფუნქცია დაკარგა სოციალური დაცვის ისეთმა უმთავრესმა ელემენტმა, როგორიცაა მოქალაქეთა საპენსიო უზრუნველყოფა, რის გამოც უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ადამიანთა უზარმაზარი რაოდენობა.

ვერ იქნა შემუშავებული რეალურად დაბალშემოსავლიანი მოქალაქეების კატეგორიის გამოვლენის და მოსახლეობის ამ ჯგუფების დაცვის მექანიზმი. არ შემუშავებულა შერჩევითი, სელექტიური, პირველ რიგში დახმარების აღმოსაჩენი ადამიანებისათვის მიზნობრივი ღონისძიებები, რომ არაფერი ვთქვათ სერიოზულ პროგრამებზე.

ხელისუფლების მიერ წარმოებულმა გამთანაბრებლურმა სოციალურმა პოლიტიკამ, რომლის მიხედვითაც სუბსიდიები და კომპენსაციები ნაწილდება არა იმათზე, ვინც საჭიროებენ გადაუდებელ დახმარების აღმოჩენას, არამედ ყველაზე, განურჩევლად მათი შემოსავლების რეალური მოცულობისა და ქონებრივი მდგომარეობისა, ყოველგვარი შინაარსი დაუკარგა სოციალური დაცვის საყოველთაოდ მიღებულ და ნაცად მექანიზმებს.

— ყოველგვარ სახელმწიფოებრივ რეგულირებასაა მოკლებული დასაქმებისა და უმუშევართა დაცვის საქმე.

ფაქტიურად შეჩერებულია ბინათმშენებლობა იმ მიზეზით, რომ ვერ ხერხდება ალტერნატიული, არასახელმწიფო მექანიზმების ამოქმედება. სოციალური სფეროს დაფინანსებაში კვლავ ბატონობს ცენტრალიზმი, არ ეძლევათ სტიმული ამ დარგში კომერციული საფინანსო სტრუქტურებისა და ადგილობრივი (მუნიციპალური) სამეურნეო ერთეულების აღმოცენებას.

ინფლაციის შესამცირებლად ხელისუფლებას დაუყოვნებლივ უნდა დაეწყო მკაცრი საბიუჯეტო პოლიტიკის შემუშავება. მნიშვნელოვანი ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული ფულად და საგადასახადო პოლიტიკის სფეროში.

ამის საპირისპიროდ, მთელი 1993 წლისა და 1994 წლის პირველი ნახევრის განმავლობაში ქვეყანა უბიუჯეტოდ არსებობდა. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა მინიმუმამდე იკლო. სახელმწიფო ხაზინაში 1994 წლის განმავლობაში მხოლოდ ეროვნული შიდა პროდუქტის ორი პროცენტი იქნა აკუმულირებული, რაც სახელმწიფო საფინანსო სისტემის პარალიზებაზე, მისი სტრუქტურის არაეფექტიან მუშაობასა და პასუხისმგებელი პირების სრულ უსუსურობაზე მეტყველებს.

მნიშვნელოვანი თანხები დააკლდა როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ ბიუჯეტს იმის გამო, რომ ეროვნული ფულადი ერთეული გამოდევნილი იქნა მიმოქცევის სფეროდან, ხოლო რუსულ მანეთებში და სხვა უცხოურ ვალუტაში წარმოებული სამეურნეო ბრუნვა არალეგალური ფორმით ხორციელდებოდა. ხელისუფლებამ თავისი ამ მეტად მცდარი სავალუტო რეგულირების რეჟიმით მნიშვნელოვნად გაზარდა ფარული და ე.წ. „შავი“ ეკონომიკის მოქმედების არეალი.

უაღრესად სუსტი და არაეფექტური იყო როგორც ცენტრალური, ასევე ადგილობრივი საგადასახადო სამსახურების მუშაობა. ამ ორგანომ ერთის მხრივ, ვერ უზრუნველყო საბიუჯეტო შემოსავლების ამოღება, მეორეს მხრივ — პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება რეალური შემოსავლების გამოვლენისა და გადასახადების დროულად გადახდის მიზნით.

ასევე სუსტი და არაეფექტური იყო ბიუჯეტის შესრულებაზე, საბიუჯეტო სახსრების ხარჯვაზე კონტროლი. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიც არის, რომ არ არის ზუსტად განსაზღვრული და მკვეთრად გამიჯნული მაკონტროლებელი, სამართალდამცავი. და საგადასახადო სამსახურების ფუნქციები ამ სფეროში, რაც იწვევს არა მარტო მათი საქმიანობის დუბლირებას, არამედ უზარმაზარი მოკლულობის საბიუჯეტო რესურსების ხარჯვაზე ზედამხედველობის სისტემის სრულ პარალიზებას.

რაც შეეხება ინფლაციის მთავარ მიზეზს 1993 წლის მეორე ნახევარში და მთელი 1994 წლის განმავლობაში, იყო ბიუჯეტის დეფიციტის პერმანენტული დაკრედიტება ეროვნული ბანკის მიერ. ამ მხრივ თვალშისაცემია ეროვნული ბანკის უუნარობა და შემგუებლობა, რომელმაც ვერ გამოიყენა კანონით მინიჭებული უფლებები და ვერ გაუწია წინააღმდეგობა სახელმწიფოს მეთაურს და მთავრობას, ვერ წარმოაჩინა მთელი სიგრძე-სიგანით პარლამენტზე მოსალოდნელი საფრთხე, რითაც ხელი შეუწყო დამატებითი საკრედიტო ემისიის დამტკიცებას და ინფლაციის აზვირთებას. აქვე აღსანიშნავია სახელმწიფოს მეთაურის კანონსაწინააღმდეგო ქმედებები ამ მიმართულებით, როცა საკუთარი განკარგულებით ამტკიცებდა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვისა და მისი დეფიციტის ეროვნული ბანკის ემისიური კრედიტებით დაფინანსების მოკლულობას. ამასთან, სრული უუნარობა და დაბალკვალიფიციურობა გამოავლინა ფინანსთა სამინისტრომ, რომელმაც ვერ გაართვა თავი ბიუჯეტის შემუშავებას, ხოლო ამ უწყების ხელმძღვანელობის მორჩილი, ხშირ შემთხვევაში არაკომპეტენტური პოზიცია (განსაკუთრებით, ფულის მიმოქცევისა და ეროვნული ბანკის კუპონის ფუნქციონირების სფეროებისა და რეჟიმის განსაზღვრაში) ძვირად დაუჯდა ქვეყნის ეკონომიკას.

ამ მიმართულებით განცდილი მარცხის მიზეზი ასევე იყო მთავრობის მაკროეკონომიკურ ბლოკში შემავალი უწყებების წინააღმდეგობრივი მოქმედებები, ამ ბლოკის კურატორისა და ცალკეული მინისტრების უმოქმედობა და პასიურობა, აგრეთვე ეკონომიკის სამინისტროს მარეგულირებელი როლის სრული იგნორირება და ამ უწყების უფუნქციოდ დატოვება, რომელსაც დღეისათვის უკეთეს შემთხვევაში „კოლექტიური მრჩეველი“ თუ შეიძლება ვუწოდოთ.

ცალკე არის გამოსაყოფი მთავრობის დარგობრივი ბლოკები და მათში შემავალი უწყებები, რომელთა ხელმძღვანელთა დაბალი პროფესიული დონის გარდა ამჟამად არსებული მათი ფუნქციები და სტრუქტუ-

გაგრძელება მე-6 გვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის მემორანდუმი

მეხუთე გვერდიდან

რები დამოუკიდებლად გვევლინებიან არა მარტო საფინანსო სფეროს არაეფექტიანი ფუნქციონირების, არამედ მთლიანად რეფორმების შემაფერხებელ მიზეზებად.

რაც შეეხება ფულად-საკრედიტო პოლიტიკას, ამ ეტაპზე მისი ძირითადი ამოცანა იყო ფულის მასის დინამიკის ისე წარმართვა, რომ არ დაშვებულიყო მაღალი ინფლაცია ერთის მხრივ და წარმოების დიდი ოდენობით დაცემა — მეორეს მხრივ. ეს უნდა განხორციელებულიყო მოქნილი საპროცენტო პოლიტიკის გატარების, არაეფექტიანი საბიუჯეტო ხარჯების დაფინანსების შემცირების (ან შეწყვეტის), საკრედიტო ემისიის მასშტაბების ოპტიმალურად მართვის გზით.

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა თავის ამ ძირითად მოვალეობას თავი ვერ გაართვა უპირველეს ყოვლისა მის საქმიანობაში გარედან ჩარევისა და პირდაპირი არაკანონიერი დავალებების (ძირითადად სახელმწიფოს მეთაურისა და მთავრობის მხრიდან) გამო. მან ვერ შეძლო საკრედიტო ბაზრის დარეგულირება საბაზრო სისტემაში დამკვიდრებული იმ ბერკეტებითა და მეთოდებით, რომელსაც ითვალისწინებდა თვით საქართველოს საბანკო კანონმდებლობა.

მიმდინარე წელს იყო მცდელობა ფულად-საკრედიტო პოლიტიკის გამკაცრებისა და გამკაცრდა კიდეც, მაგრამ მხოლოდ ერთი მიმართულებით — კომერციული ბანკებისადმი ცენტრალიზებული დაბალპროცენტიანი სესხების გაცემის შეჩერების თვალსაზრისით. რაც შეეხება ბიუჯეტისათვის, აგრეთვე მთავრობის სეზონური საჭიროებისათვის (ე.წ. „დამზადების“ კამპანიისათვის) გამოყოფილი კრედიტების მოცულობას, იგი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

საქართველოს საბანკო სისტემაში სუსტად იყო ორგანიზებული სავალუტო კონტროლისა და რეგულირების მექანიზმები, ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა ვერ გახდა ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის მაჩვენებლის ზუსტი ბარომეტრი, ვერ შეასრულა თავისი მასტაბილიზებელი ფუნქცია.

კვლავ გრძელდება საბანკო სისტემის საქმიანობაში ჩარევის ვოლუნტარისტული კურსი, რაც გამოიხატება თუნდაც სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში გამოუცდელი და არაკომპეტენტური, ზოგიერთი სახელმწიფო გავლენიანი პირების ხელისკაცების დანიშვნაში.

ფულად-საკრედიტო სფეროში დაშვებულ შეცდომებში განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ პირებს, რომლებმაც აიღეს არასწორი ორიენტაცია სამანეთო ზონაზე, ვერ განჭვრიტეს ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სივრცის განვითარების ტენდენციები და ქვეყნის ეკონომიკა ხანგრძლივი მოლოდინისა და გაურკვევლობის მდგომარეობაში ჩააგდეს. პერსონალური პასუხისმგებლობა ამ მხრივ პირველ რიგში მოეთხოვება სახელმწიფოს მეთაურს ბ-ნ ე. შევარდნაძეს, მისი შეხედულებების პირველმაცნეს, პარლამენტის სპიკერს ბ-ნ ვ. გოგუაძეს, მინისტრთა კაბინეტს სრული შემადგენლობით, ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობას, საპარლამენტო უმრავლესობის იმ წარმომადგენლებს, რომლებსაც გულუბრყვილოდ სჯეროდათ და სწამდათ რუსეთის სამანეთო სივრცეში დაბრუნებისა.

საფინანსო და მონეტრული რეგულირების სფეროში ხელისუფლების უუნაროობა კიდევ ერთხელ გამოვლინდა ამ უკანასკნელ თვეებში ე.წ. „სატრასტო“ საფინანსო კომპანიების და ბანკების მასობრივი (ხშირ შემთხვევაში ხელოვნური) გაკოტრებისა და რამდენიმე ათეული ათასი მეანაბრის მოტყუებული და დაუცველად დატოვების შემთხვევების მომრავლების გამო. შედეგად კი მოსახლეობისაგან ამოღებული და გატაცებულია მილიონობით დოლარი. უცხოურ ინვესტიციებს მოკლებულებმა ვერ შევამჩნიეთ საკუთარი ინვესტორი, რომელიც უკანასკნელი დანაზოგების გარეშე იქნა დატოვებული. იმ სახელმწიფო სტრუქტურებმა, რომელთა პირდაპირი მოვალეობა იყო საფინანსო ბაზარზე ეფექტური საზედამხედველო და სადაზღვევო სისტემის ჩამოყალიბება, ნორმატიული მარეგულირებელი დოკუმენტების შექმნა, მეანაბრეთა თუ სხვა კატეგორიის ინვესტორის გაფრთხილება და მათი დაცვა, ჩაურევლობის პოლიტიკა აირჩიეს და თვითდინებაზე მიუშვეს პროცესები.

მთავრობამ, რომელმაც ვერ გააკეთა შექმნილი ვითარების დროული და სწორი ანალიზი, უნდა აგოს პასუხი მოქალაქეთა წინაშე და მას ეკისრება არა მარტო მორალური, არამედ მთელი პოლიტიკური პასუხისმგებლობაც მომხდარი მოვლენების გამო.

4. შევარდნაძე-იოსელიანის ფაქტორი და კრიმინალური ეკონომიკის ფორმირება

საქართველოში ხელისუფლების კანონიერი სტრუქტურები სწორად არ ასახავენ ხელისუფლების რეალურ დანაწილებას. ვერც საზოგადოებაა სტრუქტურირებული იმ სახით, რომ ძალაუფლება რომელიმე სოციალური ფენის ხელში იყოს კონცენტრირებული. ვინაიდან ქვეყანაში ჯერ კიდევ ბატონობს საკუთრების სახელმწიფო ფორმა და მასზე დაფუძნებული მმართველობითი თუ სამეურნეო ინსტიტუტები, არ ჩამოყალიბებულა თვითმმართვადი სამოქალაქო ორგანიზმები, ძალაუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი კონცენტრირებულია ადამიანთა ვიწრო ჯგუფის ხელში. **რეალური ძალაუფლების მატარებელ კლანს შეიძლება პირობითად „შევარდნაძე-იოსელიანის გარემოცვა“ ვუწოდოთ.** მიუხედავად იმისა, რომ სახეზეა მათ შორის შინაგანი დაპირისპირება (რაც ძალაუფლების განაწილებაში პრიორიტეტის მოპოვებისკენ სწრაფვითაა განპირობებული) მათ შორის არსებული ალიანსი ეფუძნება მარტივ და პრაგმატულ მიზეზს: მათ ერთმანეთი სჭირდებათ. ამ ალიანსში მყოფი ფიგურების კოლორიტული სახიდან გამომდინარე შეიძლება იგი უფრო ნათლად ხალხური ანდაზით გამოვხატოთ — **„ხელი ხელს ბანს“...**

შევარდნაძის ხელისუფლება ეყრდნობოდა იოსელიანის ძალისმიერ სტრუქტურებს (და ამჟამადაც, ერთის მხრივ, ეყრდნობა, მეორეს მხრივ, ანგარიშს უწევს მას), სამაგიეროდ იოსელიანს აქვს მოპოვებული თავისი ადგილი „მზის ქვეშ“. თუკი ეს ადგილი თავდაპირველად მას მხოლოდ ძალისმიერი ქმედებების უფლებით შემოფარგლავდა, დღეს უკვე მისი მოქმედების რადიუსი ისე გაიზარდა, რომ ეკონომიკის (ფარულად) და დიპლომატიის (აშკარად) სფეროებში შეიჭრა:

იოსელიანის გარემოცვა და ნაწილობრივ მაშველთა კორპუსად ფერიცვალებული მხედრიონი თანდათანობით იწყებს ეკონომიკის მნიშვნელოვან სფეროებზე კონტროლის დაწესებას არაეკონომიკური მეთოდებით. თუკი მხედრიონის ერთი მცირე ნაწილი პატიოსან ბიზნესში ჩაერთო, მისმა მეორე ნაწილმა, აშკარა რეკეტს მიჰყო ხელი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ: ჩვენ თაყვანს ვცემთ ბრძოლაში დაცემული მხედრიონელის, ისევე როგორც სამშობლოსათვის შეწირული ყველა სხვა ჩვენი მებრძოლის ხსოვნას. ჩვენ პატივს ვცემთ ყველას, ვინც მხედრული ვალი მოიხადა. პატივს ვცემთ იმ მხედრიონელსა თუ არამხედრიონელს, ვინც ჯანსაღ ბიზნესში შევა. მაგრამ ჩვენ გვესმის და გვინდა ყველას ესმოდეს, რომ სამეურნეო ცხოვრებაში შესვლა „წილში ჩაჯდომისა“, გამოძალვისა თუ სხვა დანაშაულებრივი სახით სიკვდილია ეკონომიკისათვის და ჩვენ ამას ვერ შევეგუებით და არც დავუშვებთ. ამას აკეთებს არა მარტო მხედრიონი, არამედ არაერთი სხვა შეიარაღებული ორგანიზაცია და ჩვენი ნათქვამი მათ ყველას ეხება!...

ქვეყანაში კრიმინალური სამყაროს გავლენა ეკონომიკაზე თანდათანობით იზრდება. სამეურნეო სფეროში დანაშაულებრივი სამყაროს ჩარევა მიმდინარეობს მრავალი ფორმით და სხვადასხვა, ხშირ შემთხვევაში ურთიერთდაპირისპირებული ჯგუფების სახით.

ეკონომიკის მართვაში უკვე ჩამოყალიბებულია და სტრუქტურირებული განგსტერიზმი თავისი სრული სახით: **„გამოძალვა, შანტაჟი, ცალკეულ პირებზე და სახელმწიფო დაწესებულებებზე თავდასხმა, რასაც თან ახლავს ძალადობის სხვადასხვა ფორმა და მკვლელობაც კი“** — აი განგსტერიზმის კლასიკური განმარტება (ქართული ენციკლოპედია), რაც ასე ზუსტად შეესაბამება ჩვენს დღევანდელობას.

მას შემდეგ, რაც კრიმინალური სამყაროს ბევრი წარმომადგენელი ხელისუფლებაში, მათ შორის სამართალდამცავ ორგანოებში აღმოჩნდა, ხოლო ზოგიერთი თანამდებობის პირი პირდაპირაა დაკავშირებული დანაშაულებრივ სამყაროსთან, განგსტერულად ორგანიზებული დამნაშავეობა ქვეყანაში თანდათანობით იძენს მაფიურ ნიშნებს.

საწარმოებზე და სხვა სახის კომერციულ სტრუქტურებზე კონტროლის დაწესება, რეკეტი, ამა თუ იმ რანგის სამეურნეო ხელმძღვანელ თანამდებობაზე თავიანთი ხალხის დანიშვნა ორგანიზებული ჯგუფების და მათი „ნათლიმამების“ მიერ, ფასებზე, საქონლის შემოტანასა და რეალიზაციაზე კონტროლის დაწესება, ფინანსური მაქინაციები, იაფი კრედიტების დიდი მოცულობით მითვისება, იარაღით და ნარკოტიკებით ვაჭრობა ჩვენი ცხოვრების რეალობად იქცა.

უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა მეტად საშიში ტენდენცია — მაფიოზური ტიპის ძალების წარმომადგენლების ან მათ მიერ მხარდაჭერილი პირების ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის დაწყება, მათ შორის არჩევნებში მონაწილეობის გზით. ასევე სახეზეა ზოგიერთი, ოფიციალური სახელმწიფო სტრუქტურის მხრიდან არაკანონიერი, თავისი ფუნქციებისაგან აშკარად საპირისპირო ქმედებების დაწყების ტენდენცია. დღეს უკვე არავისთვის წარმომადგენს საიდუმლოს, რომ ისეთ სახელმწიფო სტრუქტურაში, როგორიც მაშველთა კორპუსია, ბევრ პატიოსან ადამიანთა გვერდით აშკარა რეკეტირორთა ბუდეა განთავსებული.

საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის მაფიური ტიპის დაჯგუფებების ევოლუცია გვიჩვენებს,რომ მათი საქმიანობის ფორმა უფრო დახვეწილი და სახეშეცვლილი ხდება. იქმნება ახალი, მაფიური ტიპის მეწარმეობა.

მაფიური მეწარმეობის ჩამოყალიბება, რომელიც აგებულია კონკურენტების დაშინებაზე და მათი საქმიანობის პარალიზებაზე, პროტექციონისტული გარემოს შექმნაზე, იაფი მუშახელის გამოყენებაზე და ადამიანის ექსპლუატაციაზე, შეღავათიანი შეკვეთების და კრედიტების მიღებაზე, შრომის ავტორიტარული სისტემის ფორმირებაზე, აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ქმნის დამახინჯებულ კულტურულ და ზნეობრივ ატმოსფეროს. ასეთი ვითარება იწვევს არა მარტო მეწარმეობის მორალის დეგრადაციას, არამედ აბინძურებს მთელი საზოგადოების ზნეობრივ ატმოსფეროს.

ასეთი სამეწარმეო გარემოს შექმნის ტენდენცია ჩვენში უკვე აშკარად შეიმჩნევა. (ამ მანკიერ მოვლენას ხელს უწყობს პრივატიზაციის ის ფორმაც, რომლის ხელშეწყობითაც სახელმწიფოს ქონების დიდი ნაწილი კლანურ დაჯგუფებათა ხელში გადადის). საბჭოური სისტემის დანაშაულებრივი სამყაროს ტიპიური ქურდული მორალი და წესები თანდათანობით სახეს იცვლის და უფრო დახვეწილი მაფიური ურთიერთობის ნორმებად ტრანსფორმირდება. ეს ისეთი სენია, რომელსაც ახლავე უნდა მოკვეთა.

„შევარდნაძე-იოსელიანის“ გარემოცვა ქმნის ქვეყანაში სწორედ ამ საშიში სოციალური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური მოვლენის აღმოცენების ნოყიერ ნიადაგს.

სახელმწიფოს მეთაურმა ძალაუფლების შენარჩუნებას, მრავალი ადამიანის გადმობირებასა (კრედიტებითა და თანამდებობებით დასაჩუქრება და სხვა) თუ გაუნაწყენლობას (იგივე ჯაბა იოსელიანთან ურთიერთობის ფაქტი) შესწირა ახლადფეხადგმული ბიზნესი და თავისუფალ ნებაზე მიუშვა როგორც სახელმწიფო, ასევე არასახელმწიფო საწარმოთა მართვის განგსტერიზაციის და მაფიიზაციის პროცესი.

სახელმწიფო მეთაურის მხრიდან ეროვნული ბანკის მიერ დიდძალი კრედიტების განიავების საქმის მიჩუმათების მცდელობა, მთავრობაში აშკარად კორუმპირებული ოდიოზური პირების დაწინაურება და მფარველობა, სახელმწიფო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მკვლელობათა გაუხსნელობა, დამნაშავეთა დაუსჯელობა და ახლადაღმოცენებული ბნელი ძალების დანაშაულებრივი ქმედებების სათანადო რეაგირების გარეშე დატოვება გვაძლევს იმ დასკვნების გამოტანის საფუძველს, რომ აუცილებელია ხელისუფლების რადიკალური განახლება, რათა შეჩერებულ იქნას ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური დაცემის პროცესი.

მმართველი გუნდის ეკონომიკური პოლიტიკა საბოლოოდ შეიძლება გამოხატული იქნას კარდინალ რიშელიეს იმ ცნობილი გამონათქვამით, რომლითაც მან თავისი დროის საფრანგეთის მმართველ წრეთა ანალოგიური პოლიტიკა დაახასიათა: **„სამწუხაროდ, ჩვენ ცხოვრებას კი არ ვპარსავთ, არამედ ვატყავებთ“.**

ჩვენი განსხვავება იმდროინდელ საფრანგეთისაგან ის გახლავთ, რომ იმ ტყავსაც კი სახელმწიფოს, მის მოქალაქეს კი არ ვახმართ, არამედ იგი მხოლოდ მაფიების ანგარებას ხმარდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია ქვეყანაში არსებულ მდგომარეობას და ჩამოყალიბებულ ტენდენციას აფასებს, როგორც უაღრესად მძიმეს და საშიშს. ჩვენ არ დავაკლებთ მცდელობას ვითარების შეცვლისა და ქვეყნის დემოკრატიული, საბაზრო მიმართულებით განვითარებისათვის, ამასთან, ჩვენი ძალისხმევა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს შედეგის მომტანი, თუ ქვეყნის გადარჩენაზე ზრუნვა გახდება ყოველი ჩვენგანის საქმე.

ჩვენ შეგვიძლია ვიტვირთოთ ქვეყნის უმძიმესი კრიზისიდან გამოყვანა. საზოგადოებისაგან კი ვითხოვთ მხოლოდ ერთს — თანადგომას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ჭანტურიას მკვლელობის გამო

პირველი გვერდიდან

საქართველოს სტრატეგიული დაახლოებისათვის დასავლეთის დემოკრატიულ სახელმწიფოებთან, ამდენად აკმარაა რუსეთის სპეცსამსახურების დაინტერესება აღნიშნულ აქტში.

დღეს საქართველოს ხელისუფლების სათავეში დგანან ანტიეროვნული, ნეოკომუნისტური, კრიმინალური ძალები. მათი მოქმედების შედეგად დაირღვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ქვეყანაში გამეფებულია კორუფცია, ტერორი, ანარქია, ძარცვა-ყაჩაღობა, მთლიანად მოშლილია სახელმწიფო სტრუქტურების ფუნქციონირება, უმოწყალოდ იძარცვება ქვეყნის სიმდიდრე, გამეფებულია საყოველთაო განუკითხაობა, დაუფარავად და თავხედურად მოქმედებენ უცხო ქვეყნის; კერძოდ რუსეთის აგენტურა და ემისრები, რომლებიც მოკალათებულნი არიან ფაქტობრივ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში. ქვეყანა დგას ეკონომიკური და ფიზიკური კატასტროფის წინაშე, საფრთხის წინაშე დადგა საქართველოს, როგორც ერთიანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობა. ამავე დროს ხელისუფლება ცდილობს ქართველი ხალხი შეაგუოს იმ აზრს, რომ საქართველოს არ ძალუძს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა და მოსახლეობაში დანერგოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ნეგატიური დამოკიდებულება.

ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ საქართველოს მოსახლეობის უკიდურესი სოციალური გაჭირვება, ეკონომიკის სრული ნგრევაა, ტოტალური კრიმინალური სიტუაციაა, ჩვენი სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის თანმიმდევრული დაკარგვაა და სამოქალაქო თანხმობის არარსებობა გამოწვეულია ამ ანტიეროვნული და კრიმინალური ხელისუფლების მოღვაწეობით.

გიორგი ჭანტურიას მკვლელობა იყო ლოგიკური და ბუნებრივი შედეგი ამ საერთო არანორმალური და დამღუპველი პროცესისა.

საქართველოს ყოველმა მოქალაქემ ნათლად უნდა გაიცნობიეროს, რომ ქვეყანაში შექმნილი ვითარება არ შეიცვლება მანამ, სანამ ხელისუფლების სათავეში არ მოვლენ ეროვნული და ამავე დროს უცხო ქვეყნის გავლენისაგან თავისუფალი ახალი ძალები.

გიორგი ჭანტურია იყო სწორედ ის პიროვნება, რომელიც ყველაზე მტკიცედ, გაბედულად და ვაჟკაცურად შეებრძოლა დღევანდელი ხელისუფლების დამანგრეველ მოქმედებას. სამწუხაროდ, იგი შეეწირა ამ ბრძოლას, მაგრამ საქართველოში არ შეწყდება თავისუფლების, დემოკრატიისა და წესრიგისათვის ბრძოლა. ამისათვის საჭირო იქნება ყველა ჭეშმარიტი ეროვნული ძალის გაერთიანება.

საქართველოს პოლიტიკური ძალები და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ქვეყნის პოლიტიკური, სოციალური და ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანის მიზნით, კატეგორიულად მოვითხოვთ:

1. დაუყოვნებლივ უნდა გადადგნენ თანამდებობიდან სახელმწიფო უშიშროების სამსახურის ხელმძღვანელი იგორ გიორგაძე და საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი ვარდიკო ნადიბაიძე.

2. გაუქმდეს „მხედრიონის“ ბაზაზე შექმნილი ე.წ. მაშველთა კორპუსი.

3. შეიცვალოს კორუფციისა და ორგანიზებულ დამნაშავეობასთან მებრძოლი საგანგებო კომისიის შემადგენლობა, კერძოდ, ჯაბა იოსელიანი გამოყვანილ იქნას ამ კომისიის შემადგენლობიდან.

4. დაევალოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარტიათა წარმომადგენლებს პარლამენტში, მხარი დაუჭირონ მოთხოვნას საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადადგომის შესახებ.

საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრიობის გაფართოებული კრების რეზოლუცია

ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი
გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია
ეროვნულ-დემოკრატიული პარტია
ტრადიციონალისტთა კავშირი
ლიბერალურ-დემოკრატიული (ეროვნული) პარტია
საქართველოს პოლიტიკური კლუბი
და საზოგადოებრიობის წარმომადგენლები

...

გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია ღრმა მწუხარებას გამოთქვამს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენლის გიორგი ჭანტურიას ტრაგიკული დაღუპვის გამო და სამძიმარს უცხადებს გიორგი ჭანტურიას ოჯახს, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას, ყველა ქართველ მამულიშვილს.

თურქული პრესიდან

ვაქვეყნებთ ერთი თურქული გაზეთიდან გადმობეჭდილ მასალებს აფხაზეთის ომის შესახებ. ეს გაზეთი „საბაჰი“ ტიპიური არ არის მთელი თურქული პრესის დამოკიდებულებისათვის ამ თემისადმი. მაგრამ მასში მოცემული ინფორმაციის გაცნობა ჩვენი მკითხველისთვის საინტერესო იქნება.

აფხაზეთისათვის მებრძოლი თურქები

თურქული გაზეთი „საბაჰი“

თურქეთიდან კავკასიაში წასული თურქი ახალგაზრდების ერთი ჯგუფი ომობს აფხაზების მხარეზე, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებენ ბრძოლას დამოუკიდებლობისათვის.

აფხაზური წარმომობის თურქები იბრძვიან ქართველი ძალების წინააღმდეგ, რომლებიც მძიმე შეიარაღებით ცდილობენ აჯანყების ჩახშობას.

50-ზე მეტი თურქი ახალგაზრდა გასულ კვირაში, როგორც მოხალისე, წავიდა აფხაზეთში, სადაც მიმდინარეობს მწვავე შეტაკებები. ამათგან ერთი ნაწილი ფრონტზეა, ერთი ნაწილი კი დასაქმებულია ფრონტის ზურგში გადაზიდვისა და საავადმყოფოებისათვის მომარაგების სფეროში.

საქართველოს ხელმძღვანელობის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმში საპატიმროდან გათავისუფლებული მსჯავრდებულები საშინელებებს ატრიალებენ. აფხაზები თვალცრემლიანი გვიხსნიან, რომ თავზეხელაღებულმა ყაჩაღებმა პირწმინდად გაძარცვეს მათი სახლები და შეეხნენ ქალების ნამუსს.

აჯანყებულებს, რომელთაც უკავიათ აფხაზეთის მეორე სანაპირო ქალაქი გუდაუთა, კავკასიის ყოველი მხრიდან მოსდით დახმარება. მეომრობით განთქმული ჩეჩნების მეთაურობით ქართველებთან საომრად ფრონტისკენ მიისწრაფიან ადიღები, ყარაჩაელები.

აფხაზეთის განდევნილმა პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ, რომელმაც საქართველოს ბრალი დასდო იმპერიალისტურ მოქმედებაში, თქვა: „საქართველოს სახელმწიფოს მეთაური შევარდნაძე ჰიტლერს ჰგავს (Hitler gibi); სურთ აფხაზებიმეორედ ამოშალონ ისტორიიდან მეორედ ცდილობენ აფხაზების ისტორიიდან ამოშლას — Abhazliri ikinei kez arihtan silinmek istiyorlar)“.

„ძალა და სიყვარული კავკასიაში“

ნებილ ოზგენთურქი

მინაწერი კავკასიის რუკაზე: აფხაზეთი, რომელიც მომწყვდეულია საქართველოსა და რუსეთს შორის, არის რეგიონი, რომელიც კავკასიაში ყველაზე გრძელ საზღვაო სანაპიროს ფლობს. აფხაზეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ საქართველოს ძალის გამოსვლის მიზეზიც იქიდან იღებს სათავეს, რომ ოლქი მდებარეობს საზღვაო გზებზე გამავალ რეგიონში.

პასპორტი (Kimlik Karti)

აფხაზეთი:

მოსახლეობა: 535 ათასი

ტერიტორია: 8600 კვად. კილომეტრი

მთავარი ქალაქები: სოხუმი, გაგრა, გუდაუთა, ბიჭვინთა და ოჩამჩირე. ეთნიკური შემადგენლობა: 140 ათასი აფხაზი, 76 ათასი სომეხი, 75 ათასი რუსი, 200 ათასი ქართველი და სხვები.

პრეზიდენტი: ვლადისლავ არძინბა (დედამისი წარმოშობით თურქია).

ოფიციალური წყაროების მიხედვით 1877-1878 წლების ოსმალეთ-რუსეთის ომის დროს ასიათასობით აფხაზი იძულებული გახდა დაეტოვებინა... ერთი ნაწილი თურქეთში ჩამოვიდა. ამ დროიდან აფხაზეთში ჩასახლებული იქნენ ქართველები, რუსები და სომხები... 1992 წლის 24 ივლისს კი აფხაზეთის პარლამენტმა ოფიციალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა. ყველაფერი აქედან დაიწყო... დამოუკიდებლობის გადაწყვეტილებიდან ერთი თვეც არ იყო გასული, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა 14 აგვისტოს ღამით აფხაზეთში შევიდა...

მინაწერი ქვედა ფოტოზე: ეს რუსეთის დასასვენებელი სამოთხე-სოჭაა... სოჭაში, რომელიც აფხაზეთის საზღვრებთან მდებარეობს, სიცოცხლე გრძელდება... მაშინ, როდესაც 40 კილომეტრის იქით სისხლი, დენთი, ცეცხლი და სიკვდილი ერთმანეთშია არეული; აქ რუსეთის ოთხივ მხრიდან ჩამოსული დამსვენებლები ლაღად შედიან ზღვაში და ერთობიან. „თუ არა ზღაპრებში, არ არის ისეთი ქვეყანა, რომელიც ადამიანს ასე სჭრიდეს თვალს, ასე აძლიერებდეს სიცოცხლის სურვილს. ნეტა შემძლებოდა აფხაზეთში უფრო მეტ ხანს დარჩენა“.

ცნობილმა რუსმა მწერალმა ანტონ ჩეხოვმა, რომელიც თავისი რომანებითა და პიესებით ჩვენს ქვეყანაშიც კარგად არის ცნობილი, ეს სიტყვები წლების წინ წარმოსთქვა... აფხაზეთში, რომელიც ჩეხოვმა ბუნების სილამაზის გამო სამოთხეს შეადარა, უკვე ომია... ანუ სამოთხე ჯოჯოხეთად იქცა... როგორც კი ტრაბიზონის, რიზეს მოპირდაპირე ნაპირზე მდებარე ამ პატარა „ავტონომიურმა რესპუბლიკამ“ საქართველოს საწინააღმდეგოდ დამოუკიდებლობის გადაწყვეტილება მიიღო, ადგილს თავისი დაემართა... საქართველომ მოები გადალახა და ტანკებით, ზარბაზნებით, თოფებით თავს დაესხა აფხაზთა ამ დამოუკიდებელ ქვეყანას... დაიპყრო დედაქალაქი სოხუმი და გაგრა. ათასობით ადამიანმა აფხაზეთის პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბასა და პარლამენტის წევრების მეთაურობით დედაქალაქი დატოვა და უფრო უსაფრთხო ქალაქს გუდაუთას შეაფარა თავი... ქართველმა სამხედროებმა დედაქალაქში მათი მოწინააღმდეგეები გაანადგურეს... ზოგიერთი მტკიცების მიხედვით კი აფხაზთათვის კუთვნილი სახლები პირწმინდად გაძარცვეს... ქართველმა სამხედროებმა ხელთ იგდეს ქალაქები: სოხუმი, გაგრა და ოჩამჩირა. აფხაზების შეიარაღებული ძალები კი, რომლებიც ჯერ კიდევ რეგულარულ არმიად ვერ ჩამოყალიბდნენ, მთელი ძალით ეწევიან წინააღმდეგობას, რათა არ დათმონ გუდაუთა და ბიჭვინთა, რომლებიც მათ საბოლოო პოზიციებს წარმოადგენენ. ამასთანავე განახორციელეს „პარტიზანული“ თავდასხმები ოკუპირებულ ქალაქებზე და ქართველებს მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენეს. მაგრამ ოკუპაციის მესამე დღეს მოხდა ალბათ მსოფლიოში უპრეცედენტო შემთხვევა. აფხაზეთში, რომლის მოსახლეობაც სულ 535 ათასია (მუსლიმი აფხაზები, ქრისტიანი აფხაზები, რუსები, სომხები, ბერძნები, ლაზები და ქართველები აფხაზეთში შერეულად ცხოვრობენ), ჩამოსვლა დაიწყო სამხედრო დახმარებამ მეზობლებიდან, ანუ ყველა ჩერქეზული რესპუბლიკიდან. ჩეჩნეთის, ადიღეს, ყარაჩაის მსგავსმა ავტონომიურმა რესპუბლიკებმა, რომლებშიც მცირე ხალხები ცხოვრობენ და რომლებსაც თურქეთში ყველას ჩერქეზებს უწოდებენ, სათითაოდ გააკეთეს განცხადებები, რომლებშიც საქართველოს მოქმედება შეაფასეს, როგორც იმპერიალისტური და ოკუპანტური და დაიწყეს სამხედროების გაგზავნა.ე.ი. გარკვეული აზრით (bir anlamla) ახლა აფხაზეთში საქართველოს წინააღმდეგ კავკასიელი მუსლიმი ხალხების კავშირი (ittifats — კავშირი-კოალიცია) დგას. თურქეთში წარმოშობით 400 ათასი აფხაზისა და 2 მილიონზე მეტი ჩერქეზის გულიც აფხაზეთშია... გასულ კვირაში თურქეთიდან აფხაზური წარმოშობის 50-ზე მეტი თურქეთის ახალგაზრდა მოქალაქე როგორც მოხალისედ წავიდა აფხაზეთში. ამათგან ერთი ნაწილი ფრონტზეა, ერთი ნაწილი კი ფრონტის ზურგში გადატანას და საავადმყოფოთა მომსახურების საქმეს ემსახურება.

ტანგ ბოჭორიშვილი:

დიფტერია და ბოტულიზმი რეალური საშიშროებაა

— ბ-ნო ვახტანგ, ტელევიზიით და პრესით მოსახლეობა ნორმალურად არ არის ინფორმირებული დიფტერიის შესახებ. რამდენად რეალურია ამ ინფექციური დაავადების საშიშროება?

— რეალური კი არა— ეს არის საშინელება. რატომ? იმიტომ, რომ როცა სახელმწიფო ორგანიზებული იყო, ორგანიზებული იყო ჯანდაცვაც. როცა საჭირო დონეზე ტარდებოდა მოსახლეობის აცრა, დიფტერია საქართველოში პრაქტიკულად გაქრა. წლის განმავლობაში გვიჭირდა გვენახა ერთი ავადმყოფიც კი, რომ სტუდენტებს პრაქტიკა გაევლოთ. ბ-ნ კოტე კაციტაძე ჩაუდგა სათავეში ამ საქმეს და სულ ორ წელიწადში დიფტერია ლიკვიდირებული იქნა. ლენინგრადში 1957-58 წლებში მე თვითონ ვმუშაობდი დიფტერიულ დაავადებათა ცენტრში, სადაც ცოტა ხანში ეს ავადმყოფობა ლიკვიდირებულ იქნა: ის აბრი, რომ იმუნიტეტი დიდი ხანი რჩება, არ იყო სწორი. ასეთი შთაბეჭდილება გვრჩებოდა, რომ აცრილებს და დიფტერია გადატანილებს დროდადრო იმუნიტეტი უმუშავდებოდათ. ბავშვების აცრაც თბილისში ამ ბოლო 3 წელიწადს ძალიან დაეცა. 35% არის აცრილი, როცა უნდა იყოს 95%. თბილისის ყველაზე კარგ რაიონებშიც აცრილთა რაოდენობა აღწევს 40%. სამინისტრო ატარებს უდიდეს ღონისძიებებს. ბ-ნ ავთანდილ ჯორბენაძის ხელმძღვანელობით შეიქმნა — დიფტერიასთან ბრძოლის კომიტეტი. რეგულარულად ვიკრიბებით. ბრძოლის კომიტეტში შედიან მეცნიერები, მუშაკები სანეპიდსადგურიდან.

— როგორ სინდრომებს ავლენს დასაწყისში დიფტერია?

— აღმოჩნდა რომ მოზრდილთა დიდ ნაწილს იმუნიტეტი არა აქვს, რადგანაც ისინი არ ხვდებოდნენ ჩხირებს. განსაკუთრებით ეს ავადმყოფობა გაძლიერდა შარშან, მაგრამ აფეთქების ხასიათი მიიღო ამა წლის ბოლო თვეებში. უკანასკნელ თვეში 24 ავადმყოფიდან, მხოლოდ 5 ავადმყოფია ბავშვი. დანარჩენი 16 წლის ზემოთ, ზოგიერთი მათგანი 57 წლისაა. ეს ის დაავადებაა, რომელიც კლავს ადამიანს ხშირად სავსებით მოულოდნელადაც, გამოჯანმრთელების პერიოდშიც კი. გვქონდა შემთხვევა, როცა 47 წლის ქალს გაუჩერდა გული. ეს ავადმყოფობა აზიანებს უპირველეს ყოვლისა გულს, ნერვულ ბოჭკოებს, იწვევს დამბლებს: სასის დამბლას, დიაფრაგმის დამბლას. სასის დამბლა ძალიან ადვილად ემართება ადამიანს —ანსპირაციული პნევმონია. ეს დამბლები ყოველთვის აღდგენადია, 2 თვეში მაინც (თუ არ მოკვდა მანამდე ადამიანი) — იმიტომ, რომ არსებობს მწვავე დიფტერია. ჩენი რჩევაა — თუ ოდნავ ადამიანს_ყელი წამოსტკივდება, უმალვე მოგვაკითხოს, ენახოს ექიმს.

— რა ხერხებით შეიძლება ამ ავადმყოფობის ლიკვიდაცია და გაქვთ თუ არა საკმარისი რაოდენობით ვაქცინები?

— რა არის მთავარი დიფტერიის პროფილაქტიკაში? — ეს არის აცრები. რა თქმა უნდა ძრრად ჰიგიენასაც აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ჰაეროვან ბაქტერიათა დაავადებისას ყველაზე ეფექტურია აცრები. მეტად საყურადღებოა ის ფაქტიც თუ ვინ უნდა აიცრას. უნდა აიცრას ის ასაცრელი კონტიგენტი, რომელიც მოიცავს 0 კლასიდან 11 კლასის ჩათვლით. შემდეგ აცრა ხდება სკოლამდელი ასაკის ბავშვების და სკოლის დამთავრების შემდეგ 16 წლის ასაკის ბავშვებისა — აი ამას ჰქვია სრული აცრა. შემდეგი აცრები მთელ მსოფლიოში კეთდება მხოლოდ ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლებით. რა არის ეს მაჩვენებლები? — ეს არის ეპიდემიის პერიოდში ის ხალხი, რომლებსაც ხშირად უხდება კონტაქტი მრავალ ადამიანებთან: მასწავლებლები, მათ შორის საბავშვო ბაღის აღმზრდელები, ექიმები, განსაკუთრებით ვისაც აქვს ამბულატორიული მიღებები. ის პირები, რომლებიც მოსახლეობის მიღებას აწარმოებენ, საზოგადო ტრანსპორტის მუშაკები. კონტაქტირებულებს აცრა არ სჭირდებათ. საჭიროა ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა, ექიმის დაკვირვება 7-10 დღე და მკურნალობა ანტიბიოტიკებით: პენიცილინი, ერითრომიცინი. შეიძლება თუ არა ამ დაავადების ლიკვიდაცია? — შეიძლება, მაგრამ ამას სჭირდება დრო, სულ მცირე-2 წელიწადი. ამ ხანში კი მთავარია დაავადებულის დროული გამოვლინება. მკურნალობაში მთავარია შრატის დროული შეყვანა. რას ნიშნავს დროული? ყველაზე კარგია შრატის შეყვანა პირველ დღეს. შედარებით არა უშავს მეორე-მესამე დღეს. მეოთხე დღე თითქმის დაგვიანებულია, ხოლო მეხუთე დღე უკვე გვიანაა. თუმცა ჩვენი დაკვირვებით, დადებითი შედეგი მე-5 დღესაც კი შეგვიძლია მივიღოთ. მიუხედავად ამ კრიტიკული მდგომარეობისა, როცა საქართველოს შრატიც კი არა აქვს, სამინისტრო გმირულად იბრძვის, რათა მოგვამზადოს. საერთაშორისო ორგანიზაციები ჰპირდებიან სამინისტროს შრატებით უზრუნველყოფას.

— ბ-ნო ვახტანგ, დიფტერიის გარდა გაგიჩნდა ახალი საფიქრებელი დაავადება ბოტულიზმის სახით. ორიოდე სიტყვა ამ დაავადების შესახებ?

გუშინ მივიღეთ 37 ადამიანი. ისინი იყვნენ სათლილთ მოწამლულები. ბოტულიზმიც შემცირებული იყო, როცა ხალხი არ იყო იძულებული სახლში გაეკეთებინა კონსერვები. ეს უკონტროლო ვაჭრობის ბრალია. სწორედ სახელმწიფო აპარატის მოშლა, განუკითხაობა, ყოვლად უმართავი პროცესები უდევს საფუძვლად ამ დაავადების გავრცელებას. გუშინ ბოტულიზმით 3 კაცი გარდაიცვალა. აქაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს შრატს. აუცილებელია აცრა ჩატარდეს დაავადების პირველ დღეს. მეორე დღე ნაკლებად ეფექტურია. მესამე დღე კი უკვე დაგვიანებულია. ბოტულიზმით შეიძლება ადამიანი არ მოკვდეს, თუ ჩავატარებთ მართვით სუნთქვას. მართვითი სუნთქვის ჩასატარებლად საჭიროა სინთეზი, რაც პრობლემას გვიქმნის. ბოტულიზმის დაავადება ხშირად იწყება კუჭ-ნაწლავის დაავადებით, ღებინებით, მუცლის ტკივილით. მაგრამ შეიძლება დაიწყოს ამ მოვლენების გარეშეც. ამ დაავადებამ იცის ორგანიზმის სისუსტე, მხედველობის დარღვევა. მხედველობის დარღვევის ორი შემთხვევაა: ბუნდოვნად ხედავ ან სრული დაბრმავება, ავადმყოფს უჭირს თვალის გაღება. უძნელდება ყლაპვა და თუ სუნთქვაც გაუძნელდა, იგი უკვე კრიტიკულ მდგომარეობაშია. ამიტომ ვისაც ასეთი სინდრომები აღმოაჩნდება, უნდა ეჩვენოს ექიმს. გამოცდილი ექიმისთვის დიაგნოზის დასმა არ არის ძნელი.

— გმადლობთ.

ესაუბრა

ქეთი დავლიანიძე

ვარიაციები პოლიტიკურ თემებზე

მიხეილ მახარაძე

[illegible] პრობლემების განხილვისას აღნიშნავს, რომ როცა ესა თუ ის პიროვნება თავის ისტორიულ მისიას შეასრულებს — არენიდან უნდა წავიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ის ახალსა და სახარბიელოს ვერაფერს გაკეთებს. ამ აზრს ბოლო ხანების ქართულის პოლიტიკური სინამდვილეც აღასტურებს.

საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ქართველი ხალხის დიდი ნაწილი ერთი იდეის მიხედვით გაერთიანა და პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში არნახული მარცხი აგვმა კომუნისტებს. როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა — ეს იყო მისი ისტორიული მისია და დანარჩენი მისი მოღვაწეობა ამის შემდეგ საბოლოოდ დინების საწინააღმდეგო ცურვის მცდელობა აღმოჩნდა;

სამხედრო საბჭოს წევრებმა თავისი ისტორიული მისია კი იმით ამოწურეს, რომ განწირული ხელისუფლების ჩამოგდების შემდეგ მალე ძალაუფლება სახელმწიფო საბჭოს გადასცეს;

ახლანდელმა სახელმწიფოს მეთაურმა თავისი დიდი მსოფლიო ავტორიტეტის წყალობით, ქვეყანაში დაგროვილებული ტაგედიის მიუხედავად, საქართველოს საერთაშორისო აღიარება მოაპოვებინა. ეს აღმოჩნდა სამოლოოდ მისი ისტორიული მისია ქვეყნის წინაშე.

ამასთან, ჩვენდა სამწუხაროდ, ვერც ერთმა მათგანმა თავის დროზე ვერ იგრძნო და ვერ გაცნობიერა ისტორიული მისიის აღსრულების შემდეგ არენიდან წასვლის აუცილებლობა და მთელი შესაძლებლობით ჩაება ძალაუფლების შენარჩუნებისა და ავანსცენაზე დარჩენისათვის. ამით კი მათ ვერაფერი შესძინეს სასიკეთო თავიანთ ბიოგრაფიებს, ეჭვს ქვეშ დააყენეს თავიანთი გაკეთებული საქმის მართებულობა და რაც მთავარია დიდი ზიანი მოუტანეს საკუთარ ქვეყანას.

უეჭველი კი მხოლოდ ის უნდა იყოს, რომ ისტორიული მისიის აღსრულების შემდეგ არენიდან წასვლა რჩეულთა შორის რჩეულთა ხვედრია!

2. საქართველოს პარლამენტის მალალი ტრიბუნიდან შიგა და შიგ გვმოძღვრავენ იმის თაობაზე, თუ როგორ „კეთდება“ დიდი პოლიტიკა. არადა, „დიდი პოლიტიკის“ დაუწერელი კანონის მიხედვით დიდი სამხედრო მარცხისა და ქვეყნად განუკითხაობის დამკვიდრების შემდეგ, ქვეყნის ხელმძღვანელი და მისი გუნდი სხვის შეუხსენებლად ავტომატურად ტოვებს არენას. მავანთა გაკვირვება — „მაშ სხვა ვინ თუ არა ის (ანუ ჩვენ)“ პროვინციული პოლიტიკური აზროვნების ნაყოფია. სხვათაშორის, ამ საკითხზე ზუსტად ასე მსჯელობდნენ ექსპრეზიდენტი და მისი გუნდი.

3. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის მორიგი არჩევნების ციებ-ცხელება სახეზეა: იეშნება ახლა პოლიტიკური დაჯგუფებანი, ერთიანდებიან პარტიები და ა.შ. საქართველოს პარლამენტის მალალი ტრიბუნიდან კი სულ უფრო კატეგორიულად გაისმის ერთგვარი წინასწარი თვითდამშვიდებით ნათქვამი: ხალხი მეტად აღარ შეცდება, შეიძლება კვლავ გაუჭირდეს, შესცივდეს, მოშივდეს, მაგრამ მათ (ოგულისხმებიან რადიკალები, უმცირესობის წარმომადგენლები და ა.შ.) აღარ აირჩევს. ჩვენ რომ სწორი არჩევანის უნარს მოკლებულნი ვართ დამტკიცდა როგორც 1990 წლის 28 ოქტომბრის, ისე 1992 წლის 11 ოქტომბრის არჩევნებში. თუკი მორიგ არჩევნებში ჩვენი ხალხი კვლავ ასეთ პოლიტიკურ უმეფრობას გამოავლენს და ხმას მისცემს დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლებს, მაშინ მართლა აღარ ყოფილა ჩვენი სამშველი და ჯერ-ჯერობით სწორედ ისეთ ხელისუფლებას ვიმსახურებთ, როგორებიც ვართ.

4. ამა წლის გაზაფხულზე საქართველოს სხვა და სხვა რაიონებში ჩასახლებული მოსახლეობის კერძოებისა თუ კოორდინაციისთვის შემოღებული იქნა სახელმწიფოს მეთაურის სრულუფლებიანი წარმომადგენლის თანამდებობა. შეირჩა კანდიდატურაც — ამ საკითხებში ფრიად კომპეტენტური პიროვნება. რადგანაც ჩასახლებულთა უმეტესი ნაწილი აჭარის რაიონებიდანაა, კანდიდატურის საკითხი შეათანხმეს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთანაც, კანდიდატურას დეთანხმა შესაბამისი დარგის ვიცეპრემიერი და ბოლოს პრემიერი. დარჩა ბოლო პუნქტი — კანდიდატურის წარდგენა სახელმწიფოს მეთაურთან და მისი თანხმობის მონაცემები საიმედოდ „გაიყინა“ სახელმწიფოს მეთაურის აპარატის ხელმძღვანელის სეიფში. ამ საქმეს კი საბოლოოდ თავისებური წერტილი დაუსვა აჭარის უ.ს. თავმჯდომარემ. იგი მოვლენებს აღარ დაელოდა და მიიღო ერთობ არაორდინალური გადაწყვეტილება: სახელმწიფოს მეთაურის წარმომადგენლის ნაცვლად ხელეხელი კანდიდატურა დაამტკიცა აჭარის უ.ს. სრულუფლებიან წარმომადგენლად ჩასახლების დარგში. აქ დაგვრჩა მხოლოდ ერთი კითხვა: ყოველივე ამის შემდეგ ნუთუ კიდევ მოხდება ისეთი რაღაც, რაც გაგაკვირვებს?

5. „დათა თუთაშხიას“ გამოქვეყნების შემდეგ მისი ავტორი ცოცხალ ლეგენდად იქცა საქართველოში. 1994 წლის 1 მარტის საქართველოს პარლამენტის სხდომაზე ამავე „დათა თუთაშხიას“ ავტორს სრულიად ბუნებრივი შეკითხვა დაუსვეს, რაზედაც მას პასუხი არ აღმოაჩნდა. კათედრასთან მისულმა, ცოტა შესვლის შემდეგ, გაღიზიანებულმა კთედრას მუშტი დაკრა და მოითხოვა საკითხის კენჭის ყრაზე დაყენება. ასე და ამგვარად, მწერალმა, ერთ დროს თავისუფლებადაკარგული თავისი ქვეყანა რომ საბალახოზე მიშვებულ ხახრს შეადარა, ახლა ერის ისევ სალალახოზე მიშვების კატეგორიული მისწრაფება გამოხატა და ამ საქმეში საკმარისი რაოდენობის მხარდამჭერებიც ჰპოვა... პარლამენტში. ამითი კი მან თავის ბიოგრაფიას არანაკლები შტრიხი შესძინა, ვიდრე „საუკუნის რომანის“ გამოქვეყნებით. მაგრამ როგორის, ამას მომავალი განსჯის.

6. ერთი პარლამენტარი უმრავლესობიდან, მეცნიერი და მწერალი, ერთ დროს კომუნისტი ფუნქციონერიც, რადიოინტერვიუში ჩაწყობილ შეკითხვაზე, რა აზრის ხართ გაერთიანებული რესპუბლიკური პარტიის ჩამოყალიბებაზეო, უპასუხა: გაერთიანება მისასალმებელია, მაგრამ ესენი მგონი კარიერისტული მიზნებით (?!) გაერთიანდნენო. რაღაც ვერ ვიხსენებთ, რომ ივიგე პიროვნება შეწუხებული ყოფილიყოს კომპარტიის აღდგენით, საზოგადოება „სტალინის“ პოლიტიკურ ორგანიზაციად გადაკეთებით და სხვა მსგავსი მოვლენებით. თუმცა რაა ამაში გასაკვირი — თუ არა საპარლამენტო უმრავლესობისა და ხელისუფლების თანაგრძნობა და მხარდაჭერა, ვინ გამოუყოფდა ადგილებზე აღდგენილ კომპარტიას სათანადო ფართს საქართველოს თითეულ ქალაქსა და რაიონულ ცენტრებში.

7. კიდევ ერთი პარლამენტარი, რა თქმა უნდა უმრავლესობიდან, ქვეყნის ხსნას პოლიტიკური არენიდან რადიკალების წასვლაში ხედავს. მართალია, რადიკალების დრო პოლიტიკაში წარსულს ბარდება, მაგრამ მათთან ერთად და უპირველესად პოლიტიკას უნდა ამოშორდნენ ძველ კომუნისტურ სტრუქტურებში მომუშავენი, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით — ერთი კაცის იმედად შემყურე ყურმოჭრილი მონები, არაერთგზის კორუმპირებულნი, დისკრედიტებულნი, ქვეყნის დამაქცევარნი...

8. ზოგიერთი პარლამენტარი, ისევ და ისევ უმრავლესობიდან თანდათანობით „ნეიტრალურ“ პოზიციაზე დგება: აქაოდ ჩვენთვის ქვეყნის ბედ-იღბალი მთავარი და შეიძლება ხვალ უმცირესობის ვვერდით აღმოვჩნდეთო. აქ ერთი კორექტივია საჭირო: ამის მთქმელნი იმას ვულისხმობენ, რომ თუკი უმცირესობა უმრავლესობად იქცევა და ქვეყნის ხელისუფლების სათავეში მოვა, ჩვენც მათ გვერდით ვიჯნებითო. ამის სიმპტომები ჩანს. განსხვავებით უმცირესობისაგან, უმრავლესობის რიგებმა შეთხელება იწყო, უმრავლესობის ზოგიერთი წარმომადგენელი ახლა კითხულობს გაკვირვებული — პარლამენტარებს რატომ აქვთ თანამდებობა შეთავსებული. თუმცა რამდენიმე თვის წინათ უმცირესობის მსგავს მოთხოვნებს აინუნშიაც არ აგდებდნენ. ახლა კი... თუმცა ვერაფერს იტყვი, ასეთია ბედკრულ ქვეყანაზე „დამწუხრებულთა“ ხვედრი!

9. საქართველოს პარლამენტის სხდომაზე, განსაკუთრებით ქვეყნის სასაიცოცხლო საკითხების (მაგ. ღსთ-ში გაწევრიანების) გადაწყვეტისას, არც თუ იშვიათად უმრავლესობა სამაგალითო ტაქტს აჩვენებს და გულისყურით ისმენს მათთვის უკვე წინასწარ დაგეგმილ მიუღებელ თვალსაზრისს. ამ ფაქტს კი სპეკულატიურ აქტივში ითვლის — აქაოდ ასე უნდა პოლიტიკური ბრძოლა. სინამდვილეში ვითარება უფრო სხვანირია: ერთი რომ უმრავლესობის წარმომადგენლებში ხანმოკლე დროით იღვიძებს ერთგვნული გრძნობა და, რაც მთავარია ისინი — უმრავლესობის უმრავლესობა უშუალოდ ხხდომაზე, უმცირესობის გამოსვლებიდან იგებს საქმის ჭეშმარიტ არსს.

10. ერთმა პარლამენტარმა (ისევ უმრავლესობიდან, ყველა მონაცემებით ყოფილმა კომუნისტმა) ნაშნის მოგებით აღნიშნა, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკები თავისუფლების გზაზე სამოლოოდ ძველმა კომუნისტებმა — იქაური ცკ-ის მდივნებმა გაიყვანსო. ამის მთქმელმა და ამ აზრის მხარდამჭერთ კი მართებთ გაიხსენონ ერთგული მოძრაობის აღმავლობის ხანა ჩვენთან და ბალტიისპირეთში, შეადარონ ისინი ერთმანეთს და თუ იმასაც გაიხსენებენ როგორ იქცეოდნენ მაშინ იქაური და აქაური ცკ-ის მდივნები, სალაპარაკო და სათქმელი აღარაფერი ექნებათ.

11. არც თუ იშვიათად ჩვენი საინფორმაციო საშუალებები აფუსფუთის უზარაკ ხაბჭოს, მინისტრთა საბჭოსა და კიდევ სხვა სტრუქტურებს მოიხსენიებენ „ეგრეთწოდებულად“ და ამ დროს „ეგრეთწოდებულ“ ხელისუფლებასთან ჩვენი სამთავრობო დელეგაციები უმაღლესი დონის მოლაპარაკებებს აწარმოებენ... ხაზგვარგართ, ძირითადად ენეკვაში. ეაბ ამ, ერთი შეხედვით უბრალო ფაქტშიც არ ჩანს თუ რამდენად არასერიოზული, გულუბრყვილონი და უსუსურნი ვართ პოლიტიკურსა თუ იდეოლოგიურ ბრძოლაში!

12. 70 წლიანი ბოლშევიკური მმართველობა დედამიწის ერთ მეექვსედზე, ერთდაგვარ ანარქიზმამდეც ვვეღლინება კაცობრიობის ისტორიაში. მაშინ როცა ცივილიზებული მსოფლიო სახელმწიფო მმართველობის პროგრესულ გზებს ეძიებდა და პროგრესულ ფორმებს აკვდრებდა ქვეყნების ცხოვრებაში, უდიდესი კულტურის ქვეყანა (რის დასტურად XIX საუკუნის დიდი რუსული ლიტერატურის ფაქტიც იმარებდა) ერთპიროვნული დიქტატურის გზას დადგა. ამ დროს, სადაც ხელი მიუწვდა ყველგან ყველაფერი გადათელა, დათრგუნა და სიცოცხლის ნიშაწყალიც არ დატოვა (ამ შემთხვევაში ნამდვილად ეკარგება ფასი გრანდიოზულ მშენებლობებსა და თვით კოსმოსში გასვლის ფაქტსაც). საცარია ნამდვილად — ყველაფერი ეს სასწაულ წარმოებად აღიქმებოდა მთელ ქვეყანაში.

13. ზოგიერთი პოლიტიკანი, ჩვენს ამ მძიმე ყოფას მიტინგებზე რუსეთისა და რუსების აუგად ხსენებით თუ ლანძღვა- [illegible]ით ხსნის. მაშინ როცა მიტინგების ეპოქის გასვლის შემდეგ მოსული ახალი ხელისუფლება, მისი პარლამენტი და პირველ რიგში საპარლამენტო უმრავლესობა, დღენადგ რუსეთის ფერებსა და ქმა-დედებაშია, მაგრამ რუსეთის პოზიცია ჩვენდამი ძველებურ შეუქცევადია. რა გამოდის, რუსეთი უფრო დიდ რევერვებს აკეთებს, სადღაც და ოდესაც მიტინგებზე მის მიმართ თქმულზე და არაფრად აგდებს ლეგიტიმური ხელისუფლების მიერ მისდამი აღვლენილ ღალადისს. მერედ, შეიძლება კი ამისთანა „პარტნიორის“ ნდობა? ეტყობა ეს მარტივი სიტუაციაც მისგან გამომდინარე მარტივი კითხვა ჩვენი პოლიტიკანებისთვის ურთულეს პოლიტიკურ ალგორითმთა სფეროს განეკუთვნება.

14. კარგა ხანია, პარლამენტსა თუ პარლამენტის გარეთ, სპეკულირებენ მერან მამარდაშვილის სახელით. როცა მავანთა გოდება-ქადაგებებს ისმენ მერან მამარდაშვილთან სიახლოვეზე, ორი რამ იქცევს მაშინვე ყურადღებას: ერთი რომ ჩვენში ეკრთაყვანისცემლობა ახალ ფაზაშია და მეორე ის, რომ მათ წარმოდგენა არა აქვთ მერან მამარდაშვილის ფილოსოფიურ მრწამსზე. ფალალ მატერიებს რომ თავი დავანებოთ, „რუსეთმეობის“ ფაქტის გახსენებაც იკმარებდა. ამ ჩვენს რუსეთმეებს რაიმე რომ გაეგებოდეთ ამ ცნების მამარდაშვილისეულ ანალიზსა, არათუ მის ავტორს მისცემდნენ ანთემას, არამედ ყველა იმას, ვინც უბრალოდ კეთილად მოიხსენიებდა მის სახელს.

მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

გაზეთი იბეჭდება ოფსეტური წესით

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი,
პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი სახელშეკრულებო

ტელეფონები:
რედაქტორი:
93-20-36,
რედაქტორის მოადგილე:
93-18-41
პასუხისმგებელი მდივანი:
93-19-99